# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 10 მარტი. 2023 წ. №28 (9560) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

# ყალბმა დასავლეთმა მართალი საქართველო დააჩოქა!



## „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა საბჭომ, „ხალხის ძალამ“ და საპარლამენტო უმრავლესობამ გუშინ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

„ვხედავთ, რომ მიღებულმა კანონპროექტმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სიცრუის მანქანამ შეძლო კანონპროექტის უარყოფითად წარმოჩენა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეცდომაში შეიყვანა. კანონპროექტს მიაკერეს „რუსული კანონის“ ყალბი იარლიყი, ხოლო მისი პირველი მოსმენით მიღება საზოგადოების ნაწილის თვალში ევროპული კურსიდან გადახვევად წარმოაჩინეს.

გარდა ამისა, რადიკალურმა ძალებმა შეძლეს ახალგაზრდების ნაწილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩაეთრიათ. მადლობა გმირ სამართალდამცავებს, რომლებმაც ძალადობას მოთმინებითა და უმაღლესი სტანდარტით უპასუხეს.

ჩვენ ყველაზე მეტად უნდა გავუფრთხილდეთ მშვიდობას, სიმშვიდესა და ეკონომიკურ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც საქართველოს წინსვლას ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

შესაბამისად, აუცილებელია, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ენერგია არა დაპირისპირებაზე, არამედ ქვეყნის სწორი მიმართულებით განვითარებაზე დაიხარჯოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე პასუხისმგებელმა მმართველმა ძალამ, მივიღეთ გადაწყვეტილება, უპირობოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე გავიწვიოთ ჩვენ მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი.

ემოციური ფონის ჩაცხრომასთან ერთად, საზოგადოებას უკეთ განვუმარტავთ, თუ რას ემსახურებოდა კანონპროექტი და რატომ იყო მნიშვნელოვანი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. ამისათვის, დავიწყებთ შეხვედრებს მოსახლეობასთან და ფართო საზოგადოებას გავაგებინებთ სიმართლეს საკითხის თითოეულ დეტალთან დაკავშირებით. ჩვენ ვმოქმედებთ იმ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, რომელიც, როგორც მმართველ ძალას, საზოგადოების თითოეული წევრის წინაშე გვაკისრია. საქართველო შეინარჩუნებს მშვიდობასა და სტაბილურობას და განაგრძობს სვლას ღირსებით ევროპისკენ, რაც ქართული საზოგადოების პრინციპული არჩევანია“!..

# SOS ჩვენ დასავლეთისთვის მესამე კატეგორიის ქვეყანა და ხალხი ვართ!!!



კანონპროექტი, რომელიც არ შედგა, მაგრამ დიდი საქმე გააკეთა

იხ. 3 გვ.

# ნაცნობი ტერმინის საიდუმლოებანი



## თეიმურაზ ქორიძე:

# ავტორიტეტი

მოდი, ავტორიტეტზე (გერმ. AVTORITET, ლათ. AUCTOTITAS – ძალაუფლება, გავლენა) ვილაპარაკოთ,. მისი მნიშვნელობა ყველამ ვიცით (ან დარწმუნებული ვართ, რომ ვიცით), მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გავიხსენოთ.

საყოველთაოდ აღიარებული განმარტებით, ეს არის ადამიანის სიბრძნეზე, ცოდნაზე, გამოცდილებაზე, ნაკეთებ საქმეებზე, თანამდებობრივ მდგომარეობაზე დაფუძნებული გავლენა საზოგადოებაზე. აქედან გამომდინარე, ავტორიტეტი გულისხმობს განსაკუთრებულ მიღწევებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – მეცნიერებაში, პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ხელოვნებაში, სოციალურ ცხოვრებაში... და, რა თქმა უნდა, გულისხმობს ამ მიღწევების აღიარებას საზოგადოების მხრიდან.

ალბათ, უნდა დავუჯეროთ თავადაც დიდ ავტორიტეტს, გერმანელ ფილოსოფოსს, თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთ დამფუძნებელს მაქს ვებერს. მისი კონცეფციის თანახმად, ავტორიტეტს ქმნის სამი ძირითადი წყარო: ტრადიცია (მაგალითად, ეკლესიის ავტორიტეტი); რაციონალურად დასაბუთებული კანონიერება; ლიდერის ქარიზმაზე დაფუძნებული აფექტური („ეფექტურში“ არ აგერიოთ! – თ.ქ.) კანონიერება.

ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ამავე დროს ავტორიტეტზე მეოცნებე პიროვნებას უნდა გააჩნდეს ყველა ის ღირსებაც, ზემოთ რომ ჩამოვთვალე – სიბრძნე, ცოდნა, გამოცდილება.

იხ. 5 გვ.

## გვარების წინამძღოლთა დარბაზი



იხ. 6-7 გვ.

# წინაპრების საგმირო საქმეებით ამაღლებული ზედგინიძეები

# ირაკლი ღარიბაშვილი კავკასიის საკითხებში აშშ-ის მთავარ მრჩეველს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კავკასიის მოლაპარაკებების საკითხებში აშშ-ის მთავარ მრჩეველს ლუის ბონოს შეხვდა.**

მთავრობის მეთაურმა ლუის ბონოს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას. ამ მიმართულებით ხაზი გაესვა პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულ სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო-სამეზობლო ინიციატივის მნიშვნელობას.

საუბარი შეეხო საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობასა და სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერებას სხვადასხვა სფეროში. მთავრობის მეთაურმა ლუის ბონოს მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ასევე კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერისთვის.

## შალვა პაპუაშვილი ვენეციის კომისიის პრეზიდენტს:

# გთხოვთ, აღარ განიხილოთ ჩვენი თხოვნა!



პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ევროპის საბჭოს, ვენეციის კომისიის პრეზიდენტს კლერ ბაზი მალორის წერილი გაუგზავნა:

**„თქვენო აღმატებულებავ, რამდენიმე დღის წინ გადმოგეცით წერილი, სადაც გთხოვდით ვენეციის კომისიის სამართლებრივ მოსაზრებას უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტებთან დაკავშირებით.**

**სამწუხაროდ, შემოთავაზებულმა რეგულაციებმა საქართველოს საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები გამოიწვია. მცდარმა ნარატივებმა და იარლიყებმა შეცდომაში შეიყვანა მოქალაქეები და კონფრონტაციას დაუდო საფუძველი.**

**შესაბამისად, როგორც პასუხისმგებლიანი აქტორი, რომელიც ზრუნავს ქვეყანაში მშვიდობაზე, სტაბილურობასა და კეთილდღეობაზე, მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა აღნიშნული კანონპროექტების მხარდაჭერის გაწვევა და შემდგომი საკანონმდებლო განხილვების შეწყვეტა.**

**აქედან გამომდინარე, გთხოვთ, აღარ განიხილოთ ჩვენი თხოვნა სამართლებრივი მოსაზრების მომზადების თაობაზე და შეაჩეროთ ამ მხრივ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. ქალბატონო პრეზიდენტო, გიდასტურებთ ჩემს ღრმა პატივისცემას. საუკეთესო სურვილებით, შალვა პაპუაშვილი“.**

## ირაკლი კობახიძე:

# ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ კანონი, რომელიც იყო ინიცირებული, შეესაბამებოდა ადამიანის უფლებების სტანდარტებს



**შეიძლება უკეთესად იყო შესაძლებელი იმ ყალბი კამპანიის გათვლა, რომელიც ამ კანონის გარშემო წარიმართა. შეიძლება ამ კუთხით ვისაუბროთ გარკვეული ტიპის პასუხისმგებლობაზე,** – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

**„რაც შეეხება კანონის შინაარს, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ ეს კანონი ეფუძნებოდა ადამიანის უფლებების სტანდარტებს. მომავალშიც მივაწვდით ინფორმაციას საზოგადოებას. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ კანონი, რომელიც იყო ინიცირებული და გამოვიხმეთ, შეესაბამებოდა ადამიანის უფლებების სტანდარტებს“...**

* * *

**„თუ ვინმეს შეეშალა, ეს არის ის, ვინც ტყუილს ავრცელებდა ამ კანონთან დაკავშირებით. რაც შეეხება ჩვენს მხარეს, რა თქმა უნდა, შედეგი მისაღებია მხედველობაში. ის, რომ საზოგადოების ნაწილი შეცდომაში იყო შეყვანილი, ეს შეიძლება იყოს დიდწილად ჩვენი ბრალიც. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს შეცდომაში შეყვანილი, ეს არის ჩვეულებრივი ამბავი. დღეს ამ თემაში ჩვენ არ შევალთ, როცა ამის დრო იქნება, საზოგადოებას მივაწვდით ინფორმაციას ყალბ კამპანიასთან დაკავშირებით, თუმცა დღეს ამას არ განვიხილავთ. როცა იქნება სათანადო დრო, ჩვენ ვესაუბრებით საზოგადოებას იმაზე, თუ როგორ გავრცელდა ყალბი კამპანია, თითქოს ჩვენ დავადექით რუსეთის გზას“,** – დასძინა კობახიძემ.

# მიმდინარე კვირაში პლენარული სხდომები არ გაიმართება!

**საქართველოს პარლამენტის შენობაში იმოქმედებს ტერიტორიაზე დაშვების შეზღუდული რეჟიმი, რომელიც გავრცელდება ყველა ვიზიტორზე, აკრედიტებულ მედიასა და პარლამენტის წევრებზე, დაიშვებიან აპარატის მხოლოდ ის თანამშრომლები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ზიანის აღწერასა და აღდგენაში,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადებაშია ნათქვამი.

**„7-8 მარტს საქართველოს პარლამენტის სასახლესთან შეკრებილი მოქალაქეების ნაწილის მხრიდან ძალადობრივი ქმედებების შედეგად ზიანი მიადგა პარლამენტის შენობასა და ინფრასტრუქტურას.**

**ზარალის აღწერის, მიყენებული ზიანის აღდგენის, პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, პარლამენტის სასახლეში მიმდინარე წლის 9-10 მარტს „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, იმოქმედებს ტერიტორიაზე დაშვების შეზღუდული რეჟიმი, რომელიც გავრცელდება ყველა ვიზიტორზე, აკრედიტებულ მედიაზე და პარლამენტის წევრებზე.**

**შენობაში საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ დაიშვებიან აპარატის მხოლოდ ის თანამშრომლები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ზიანის აღწერასა და აღდგენაში.**

**ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და შენობაში მყოფი პირების ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარე კვირას პლენარული სხდომები არ გაიმართება“!**



# მივესალმებით მმართველი პარტიის განცხადებას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაწვევის გამო

**საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა მიესალმება „ქართული ოცნების“ განცხადებას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაწვევის შესახებ და მოუწოდებს საქართველოს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, ინკლუზიური და კონსტრუქციული გზით განაახლონ პროევროპული რეფორმები 12 პრიორიტეტის შესაბამისად საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღწევის მიზნით,** – ამის შესახებ დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

**„მივესალმებით მმართველი პარტიის განცხადებას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაწვევის შესახებ. მოვუწოდებთ საქართველოს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, ინკლუზიური და კონსტრუქციული გზით განაახლონ პროევროპული რეფორმები 12 პრიორიტეტის შესაბამისად საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღწევის მიზნით“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

## გერმანიის საელჩო:

# განსაკუთრებით მივესალმებით მოსახლეობასთან დიალოგის გამართვის ინიციატივას

**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაწვევის გადაწყვეტილება სწორი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია. განსაკუთრებით მივესალმებით მოსახლეობასთან დიალოგის გამართვის ინიციატივას.**

**პროცესში შესაბამისი ჯგუფების ჩართვა და პროფესიული დიალოგი ყველა დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის საფუძველს წარმოადგენს. მოვუწოდებთ ყველა მონაწილეს, ერთად გადადგან აუცილებელი ნაბიჯები საქართველოს ევროპული მომავლისათვის“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

# ჩვენ დასავლეთისთვის მესამე კატეგორიის ქვეყანა და ხალხი ვართ!!!







## კანონპროექტი, რომელიც არ შედგა, მაგრამ დიდი საქმე გააკეთა

**დიახ, კანონპროექტმა „უცხოეთის გავლენის აგენტების“ შესახებ ერთი დღეც ვერ გაუძლო, მაგრამ ძალიან დიდი საქმე გააკეთა.**

მოდით მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც ყველა ემოცია გვერდზე გადავდოთ, ცივი გონებით განვსაჯოთ, თუ რა მოხდა რეალურად.

დავიწყებ იმით, რომ ნათლად გამოჩნდა თუ როგორ მუშაობს ფეიკ-მანქანა. ე.წ. კრიტიკულმა მედიამ შეძლო კანონპროექტის უარყოფითად წარმოჩენა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეცდომაში შეიყვანა. კანონპროექტს მიაკერეს „რუსული კანონის“ ყალბი იარლიყი, ხოლო მისი პირველი მოსმენით მიღება საზოგადოების ნაწილის თვალში ევროპული კურსიდან გადახვევად წარმოაჩინეს.

ამის საპირწონედ „ქართულმა ოცნებამ“ მიუხედავად იმისა, რომ მის ხელთ არის გარკვეული საინფორმაციო საშუალებები, ვერ შეძლო ამ ფეიკთან გამკლავება, რასაც საკმაოდ მყარი მიზეზები აქვს.

პირველი და უმთავრესი არის ის, რომ ტელეკომპანია იმედის თანამშრომელთა დიდი ნაწილი, თავად არის ლიბერასტული გავლენის ქვეშ და მეორეც – ამ ტელეკომპანიის პოლიტიკურ თოკ-შოუებს არ გააჩნიათ ის რეიტინგი და ნახვადობა, რაც „კრიტიკული მედიის“ ანალოგიურ გადაცემებს.

ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ „იმედის“ პოლიტიკური გადაცემები უფრო აკადემიურ სტილში მიმდინარეობს და იქ მოწვეული სტუმრები დაწვრილებით მსჯელობენ ამ თუ იმ საკითხის გარშემო, მაგრამ ისევ და ისევ ვიტყვი, რომ როცა გსურს დაუპირისპირდე პროპაგანდისტულ მანქანას, იქ „დახვეწილი სტილი“ და ერთფეროვანი სტუმრები ბევრს ვერაფერს გააკეთებენ და თუ ამას დავამატებთ ზემოთ ნათქვამ ფაქტს, „იმედის“ თანამშრომლების ლიბერასტული გადახვევების შესახებ, ეს შედეგი სრულიად მოსალოდნელი იყო.

აბსოლუტურად არ მიმდინარეობდა ე.წ. არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისა და იმ ფინანსების ხარჯვის რეალური მიზნების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

არ მიმდინარეობდა ამერიკული კანონის FARA-ს შედარება ქართულ კანონთან და ქართული კანონის უპირატესობების წარმოჩენა.

ერთი სიტყვაც არ თქმულა ევროპის სახალხო პარტიის მიერ ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობაზე აშშ-ის კანონმდებლობის (FARA) ანალოგის მიღების ინიციატივის შესახებ.

რაც შეეხება „საზმაუს“, მასზე შეჩერებაც არ ღირს, რადგან ამ ტელევიზიის ნახვადობა, სამწუხაროდ, ნებისმიერ ინტერნეტ-გამოცემასაც ვერ უტოლდება.

ახალი „პოსტვ“ (POSTV) კი იბრძვის ყველა ფეიკის და ფაქტების დამახინჯებულად წარმოჩენის წინააღმდეგ, მაგრამ მარტო ის ვერ უმკლავდება იმ ავგიას თავლის გაწმენდას, რასაც დღეს ქართული მედიის მხოლოდ სიცრუეზე დაფუძნებული არხები წარმოადგენენ.

გამოჩნდა განათლების სამინისტროს სრული უუნარობა და იქ ჩაბუდებული აგრესიული ლიბერალების გავლენა ახალგაზრდობაზე, რაც პირველ რიგში უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგების „დამსახურებაა“. იმ „პედაგოგების“, რომლებიც პირდაპირ მოუწოდებდნენ სტუდენტებს ლექციაზე დასწრების ნაცვლად, აქციაზე გასულიყვნენ. აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ რას ასწავლიან ლევან ბერძენიშვილის მსგავსი ანტიპროფესორები.

საშინელი მდგომარეობაა საჯარო სექტორში, როცა ნათლად გამოჩნდა, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას ემხრობა ის ხალხი, ვინც სწორედ ჩვენი ხელისუფლების ყველა სიკეთით სარგებლობს და როგორ უპირისპირდება მას არა ფარულად, არამედ სოციალური ქსელების მეშვეობით.

**იყო კარგი და ძალიან კარგი შედეგებიც.**

**პირველი და მთავარი იყო ის, რომ ხალხმა აშკარა უარი უთხრა ე.წ. ოპოზიციას. თავად დაინახა, თუ რა დამოკიდებულება აქვთ იმ ადამიანებთან, ვინც აქციაზე მივიდა. ნახეს გაპარული „ლიდერები“, ნახეს გედი ფოფხაძის, გიორგი ვაშაძის, აკია ბარბაქაძის და სხვებათა მხრიდან აშკარა ძალადობისკენ მოწოდება და აქციის მსვლელობის დროს თავიანთი დამოკიდებულება არა მარტო დაუდასტურეს, ფაქტობრივად ხალხისგან გააგდეს.**

**აშკარად გამოჩნდა დასავლეთის მოძალადეობრივი ზეწოლა საქართველოს წინააღმდეგ. გამოჩნდა მათი რეალური დამოკიდებულება ნამდვილი დემოკრატიის მიმართ. გამოჩნდა ის, რომ ამერიკელ პოლიციელზე შეხება აკრძალულია და ქართველ პოლიციელზე შეხება გამოხატვის თავისუფლებაა!!! გამოჩნდა ის, რომ უცხოეთიდან ამერიკული ორგანიზაციის დაფინანსება არ შეიძლება, საქართველოში კი ყველაფრის კეთება შეუძლიათ.**

**პირდაპირ გვითხრეს, რომ ჩვენ მათთვის მესამე კატეგორიის ქვეყანა და ხალხი ვართ!!!**

**დაგოლოს – FREE მიშა ყველას დაავიწყდა.**

**იმედი მაქვს, რომ მალე ყველაფერი დამშვიდდება და ცხოვრება ჩვეულ რიტმში გაგრძელდება. ხელისუფლება ამ მოვლენებს გააანალიზებს და ჯეროვან დასკვნას გამოიტანს!**



**გია გაბრიჭიძე**

## ცესკო: ელექტრონულ არჩევნებს საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკი“ ჩაატარებს!

**საარჩევნო ტექნოლოგიებისა და შესაბამისი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ბაზრის კვლევის პროცესი დასრულდა**. ცესკოს ცნობით, აღნიშნული პროცესი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საჯაროობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით წარმართა.

**„შესაბამისი ინფორმაცია განთავსებული იყო როგორც ცესკოს, ისე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე. გარდა ამისა, ბაზრის კვლევის პროცესის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ იმ საელჩოებს, რომლებთანაც საარჩევნო ადმინისტრაცია სამუშაო ჯგუფის ფორმატში თანამშრომლობს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია ასევე გავრცელდა მედიასაშუალებებით.**

**ბაზრის კვლევისთვის განსაზღვრულ ვადებში პროცესში მონაწილეობის სურვილი რამდენიმე საერთაშორისო კომპანიამ გამოთქვა, თუმცა ყველა ეტაპის წარმატებით გავლა მხოლოდ ერთმა მათგანმა შეძლო. საარჩევნო ტექნოლოგიების დემონსტრირების საბოლოო ეტაპზე ტესტირება გაიარა ყველა იმ პროცესმა, რომელიც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნების ჩატარებისთვის არის საჭირო და დადგინდა, რომ საერთაშორისო კომპანია „სმარტმატიკის“ მიერ წარმოდგენილი აპარატურა და მათი მუშაობის სქემა თავსებადია ცესკოს მოთხოვნებსა და საჭიროებებთან. შესაბამისად, მიღებულ იქნა აღნიშნულ კომპანიასთან თანამშრომლობის გადაწყვეტილება“,** – ნათქვამია ცესკოს ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ხელშეკრულებას ხელი უახლოეს მომავალში მოეწერება.

**„აღსანიშნავია, რომ კომპანია „სმარტმატიკს“ სხვადასხვა ქვეყანაში ელექტრონული არჩევნების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს. 2000 წლიდან კომპანია გლობალური ლიდერია საარჩევნო ინდუსტრიაში და 30-ზე მეტ ქვეყანაში აქვს არჩევნების მოდერნიზების გამოცდილება. მათ შორის, განხორციელებული აქვს ამ ტიპის პროექტები ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, აშშ, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ალბანეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ბელგია, ფილიპინები და ა.შ. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ 2021-2022 წლებში საქართველოში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული საპილოტე პროექტები სწორედ „სმარტმატიკის“ მხარდაჭერით განხორციელდა. საყოველთაო შეფასებით, აღნიშნული პროექტები იყო წარმატებული და ჩართული მხარეების მაღალი სანდოობით სარგებლობდა“.**

## რუსთაველის გამზირზე აქციის მონაწილეებმა მუზეუმის კარი შეამტვრიეს!

**ეროვნული გალერეის ექსპონატების ნაწილი საცავებშია გადატანილი,** – ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის მონაწილეებმა კარი შეამტვრიეს და დაიკავეს გალერეის პირველი საგამოფენო დარბაზი, სადაც განთავსებულია ფიროსმანის მუდმივმოქმედი გამოფენა.

**„საბედნიეროდ, ექსპონატები არ დაზიანებულა, ხოლო აქციის მონაწილეები გაყვანილ იქნენ მომდევნო რამდენიმე წუთში საგამოფენო სივრციდან.**

**შემთხვევის ადგილზე იყვნენ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე და ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიკა ახალბედაშვილი. ვინაიდან გალერეის მოცემული სივრცის კარი დაზიანდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფიროსმანის, ზდანევიჩის, ქობულაძის, სიდამონ-ერისთავის ნახატებისა და სხვა ექსპონატების საცავებსა და დაცულ საგამოფენო სივრცეებში დროებით გადატანის შესახებ“,** – აღნიშნულია განცხადებაში.



## ილჰამ ალიევი:
# ჩვენ ევროპის ენერგეტიკული რუკის მნიშვნელოვან ცვლილებას ვაპირებთ!



**გასულ დეკემბერს აზერბაიჯანმა, საქართველომ, უნგრეთმა და რუმინეთმა ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს მწვანე ენერგიის ტრანსპორტირებაზე, ამ შეთანხმების თანახმად, ჩვენ მოვახდენთ აზერბაიჯანიდან ქარის ძალით მოპოვებული ენერგიის ტრანსპორტირებას ევროპაში, ეს იქნება ევროპის ენერგეტიკული რუკის მნიშვნელოვანი ცვლილება,** – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა ბაქოს მეათე გლობალური ფორუმის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა.

ალიევის თქმით, აზერბაიჯანმა მნიშვნელოვნად გაზარდა ენერგიის ტრანსპორტირება ევროპაში და გაზის ექსპორტი წელს 24 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწევს.

**„ერთ-ერთი პანელი ეხება ენერგიისა და ტრანსპორტირების დერეფანს. მინდა, მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ბევრი რამ მოხდა. უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირმა და აზერბაიჯანმა მოაწერეს ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ მემორანდუმის იმპლემენტაცია ხდება. აზერბაიჯანმა მნიშვნელოვნად გაზარდა ენერგიის ტრანსპორტირება ევროპაში. გაზის ექსპორტი წელს მიაღწევს 24 მილიარდ კუბურ მეტრს. ამის ნახევარი წავა პირდაპირ ევროპაში. ესეც დაეხმარება ევროპელ მომხმარებლებს და გაზრდის მათ წვდომას ბუნებრივ აირთან არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ჩვენ გავზარდეთ ინვესტიციები ბუნებრივი აირის სფეროში და ვმუშაობთ მილსადენების გაფართოებაზე. ეს ეხება როგორც ტანაპის, ისე ტაპის მილსადენებს. გასულ დეკემბერს ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა ბუქარესტში, სადაც აზერბაიჯანმა საქართველომ, უნგრეთმა და რუმინეთმა ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს მწვანე ენერგიის ტრანსპორტირებაზე. ამ შეთანხმების ხელმოწერას ესწრებოდა ევროკომისიის პრეზიდენტი. ამ შეთანხმების თანახმად, ჩვენ მოვახდენთ აზერბაიჯანიდან ქარის ძალით მოპოვებული ენერგიის ტრანსპორტირებას ევროპაში. ამ სადენის ნაწილი გაივლის შავი ზღვის ფსკერზე. ახლა ამ პროექტის შესწავლა მიმდინარეობს. ეს იქნება ევროპის ენერგეტიკული რუკის მნიშვნელოვანი ცვლილება“,** – განაცხადა ალიევმა.

# მატყუარა საერთაშორისო აგენტ-მიშისტების „დასაფსები“ თვალების დასანახად!

## საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ათეულში!

**საქართველო მსოფლიოს 179 ქვეყანას შორის დემოკრატიზაციის 10 წლიანი პროგრესით მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვდა.**
კვლევას **„დემოკრატიის ანგარიში 2023“** აქვეყნებს, დემოკრატიის კვლევის წამყვანი ცენტრი მსოფლიოში – ორგანიზაცია „დემოკრატიის მრავალფეროვნება“ (V-DEM), რომელიც ერთ-ერთია, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროექტებს შორის, რასაც მსოფლიო ბანკის „გლობალური მმართველობის ინდიკატორები“ ეფუძნება.

მსოფლიოს ამ წამყვანი სინქ თენქის შეფასებით 2012-2022 წლებში დემოკრატიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი მსოფლიოს მხოლოდ 14 ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ განიცადა. 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 10 წლიანი დემოკარტიზაციის, ანუ დემოკრატიის პროგრესის მიხედვით ,მსოფლიოს საუკეთესო ათეულში მოხვდა. 2023 წლის ლიბერალური დემოკრატიის ინდექსში საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის ლიდერობს და დემოკრატიის დონით უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა მაგალითად **პოლონეთი, უნგრეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მონტენეგრო და ა.შ.**

ინდექსში კვლევის ობიექტს წარმოადგენს დემოკრატიის ლიბერალური პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდუალური და უმცირესობების უფლებების დაცვის მნიშვნელობას სახელმწიფოს ტირანიისა და უმრავლესობის ტირანიისგან, რაც მიიღწევა კონსტიტუციით დაცული სამოქალაქო თავისუფლებებით, კანონის ძლიერი უზენაესობით, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით და ეფექტური მეთვალყურეობით. იმისათვის, რომ ეს იყოს ლიბერალური დემოკრატიის საზომი, ინდექსი ასევე ითვალისწინებს საარჩევნო დემოკრატიის დონეს. **2023 წლის ლიბერალური დემოკრატიის ინდექსის მიხედვით პირველ ადგილზე დანია გავიდა, მეორე და მესამე ადგილი შესაბამისად შვედეთმა და ნორვეგიამ დაიკავა.**

V-DEM-მა ლიბერალური დემოკრატიის ინდექსის გარდა საქართველოს 10 წლიანი პროგრესი არჩევითი დემოკრატიის ინდექსშიც აღიარა. არჩევითი დემოკრატიის ინდექსის მიხედვით ბოლო 10 წელიწადში არჩევითი დემოკრატია მნიშვნელოვნად მსოფლიოს მხოლოდ 14 ქვეყანაში გაუმჯობესდა და მათ შორის საქართველოცაა.

ორგანიზაციის შეფასებით, **„საქართველო 2012 წელს უკვე იყო კლასიფიცირებული, როგორც არჩევითი დემოკრატია, მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდა.** (გვ27)“.

**კვლევაში აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონი ასე შეფასდა:**

**„აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ორი დემოკრატიზირებული ქვეყანაა: სომხეთი და საქართველო. თითქმის ოთხჯერ მეტი – შვიდი ქვეყანა – არსებითად გაუარესდა: ბელორუსი, უნგრეთი, ყირგიზეთი, მონღოლეთი, პოლონეთი, რუსეთი და სერბეთი** (გვ.21)“.

**„აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში კვლავ დომინირებს საარჩევნო ავტოკრატია: მოსახლეობის 63% ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, ბელორუსია და ყაზახეთი; მოსახლეობის 22% გვხვდება საარჩევნო დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი და საქართველო; ხოლო 5% ცხოვრობს ლიბერალურ დემოკრატიულ ქვეყნებში – ჩეხეთში, ესტონეთში, ლატვიასა და სლოვაკეთში.**(გვ.14)“.

არჩევითი დემოკრატიის ინდექსის კვლევის ობიექტს წარმოადგენს დემოკრატიის საარჩევნო პრინციპი, რომელიც ცდილობს განასახიეროს მმართველების მოქალაქეებისადმი პასუხისმგებლობის ძირითადი ღირებულება, რაც მიღწეულია საარჩევნო შეჯიბრის უზრუნველყოფის გზით იმ გარემოებებში, როდესაც ხმის უფლება ფართოა; პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ; არჩევნები არის სუფთა და არ არის დაზიანებული გაყალბებით ან სისტემატური დარღვევებით. არჩევნებს შორის არის გამოხატვის თავისუფლება და დამოუკიდებელი მედია, რომელსაც შეუძლია, წარმოადგინოს ალტერნატიული შეხედულებები პოლიტიკურ აქტუალურ საკითხებზე. „დემოკრატიის მრავალფეროვნება“ (V-Dem) არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სოციალური პროექტი, სამეცნიერო მონაცემების შეგროვების და ანალიზის პროექტი უშუალოდ დემოკრატიაზე. მისი სათაო ოფისი დაფუძნებულია V-Dem ინსტიტუტში, შვედეთში, გოტენბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტში. პროექტს უძღვება ხუთი მთავარი გამომძიებელი, 23 პროექტის მენეჯერი, 33 რეგიონული მენეჯერი, 100-ზე მეტი კოორდინატორი და 4000-ზე მეტი ექსპერტი სხვადასხვა ქვეყნებში. ორგანიზაცია ერთ-ერთია იმ კვლევით პროექტებს შორის, რასაც მსოფლიოს ბანკის „გლობალური მმართველობის ინდიკატორები“ ეფუძნება.

**„კომერსანტი“**




# ლარი გამყარდა, საწვავი გაიაფდა, ვაჭართა კლასი პროდუქტზე ფასებს არა და არ ამცირებს!

## კონტროლი გასაძლიერებელია: ბიზნესმენები ყურადღების მოდუნებისთანავე ცდილობენ, ზედმეტი სარგებელი მიიღონ!

**მთავრობამ ბოლო 2-3 კვირის ეკონომიკური შედეგები შეაჯამა, რაც, ძირითადად, დაკავშირებული იყო ფასებისა და ინფლაციის შემცირების პოლიტიკასთან და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან. გარკვეული მიღწევები ამ მიმართულებით არის, მაგრამ სასურველ მაჩვენებლამდე მისაღწევად დიდი მუშაობა იქნება საჭირო. თანაც გასაძლიერებელია კონტროლი, რადგან ადგილობრივი ბიზნესმენები ჩასაფრებულ პოზიციაში არიან და ყურადღების მოდუნებისთანავე ცდილობენ ზედმეტი სარგებელი მიიღონ.**

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, **თებერვლის თვეში საწვავზე 30-40-თეთრიანი კლება დადასტურდა.** ეს უდავოდ დადებითი ფაქტია, მაგრამ ახლა მნიშვნელოვანია, ფასები შემცირდეს და ძირითადი მოხმარების პროდუქტები არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს. ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც გამახვილდა ყურადღება.

**„ეკონომიკური საბჭოს მონაწილეებმა ტექნიკური დავალების შემუშავების პროცესი მიმოიხილეს. სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს ევრო 5-ის ავტომობილების სავალდებულო სტანდარტის დანერგვაზე, რომლის მიხედვითაც ევრო 5-ზე დაბალი სტანდარტის მანქანების შემოყვანა 2024 წლიდან შეიზღუდება, რაც თავის მხრივ, 2013 წლამდე გამოშვებულ მანქანებს შეეხება. ამ ინიციატივის განხორციელება, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემცირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. აღინიშნა, რომ ქვეყანაში უკვე არსებული რეგულაციებით, ახალი მანქანების შემოსვლა სტიმულირებული იყო, ახალი სტანდარტის დანერგვა კი მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესებისთვის.**

საუბარი შეეხო ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს. აღინიშნა, რომ 2023 წლის იანვრის ეკონომიკური ზრდა განსაკუთრებით აღსანიშნავია, მაღალი საბაზო ეფექტის ფონზე. როგორც სხდომის წევრებმა აღნიშნეს, წინა წლის იანვარშიც მაღალი - 18%-იანი ეკონომიკური ზრდა დადასტურდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი რეალური მშპ 8,4%-ით გაიზარდა.

მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ითქვას, რომ ფასების ინდექსი ჯერ ისევ მაღალ ნიშნულზე რჩება. მართალია, 2023 წლის თებერვალში წლიური ინფლაციის დონემ 8.1 პროცენტი შეადგინა, წინა თვესთან შედარებით ფასების დონე 0.3 პროცენტით შემცირდა, მაგრამ მიზნობრივი მაჩვენებლისგან იგი ძალიან დაშორებულია.

**„საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი გაიარა და 2022 წლის მაისის შემდეგ, ინფლაციას შემცირების ტენდენცია აქვს. წინა თვესთან შედარებით ფასების დონის კლება ნათლად მიანიშნებს, რომ ინფლაციური ზეწოლა მნიშვნელოვნად შემცირებულია“,** – წერია მთავრობის ადმინისტრაციის პრესრელიზში. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) ვიცე-პრეზიდენტმა, პაატა ბაირახტარმა სწორედ ფასებზე და ინფლაციაზე გაამახვილა ყურადღება. მან იმ ხარვეზებზე ისაუბრა, რაც ქართულ საცალო ბაზარზე არსებობს. დღესდღეობით გლობალურ ბაზარზე ყველა პროდუქტთან მიმართებაში ფასების კლება და ეროვნული ვალუტის გამყარება იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანაში ფასები შემცირებულიყო, თუმცა ეს არ მოხდა.

**„ბოლო ერთწლიან ტენდენციას თუ დავაკვირდებით, ვნახავთ რომ ფაო-ს ფასების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველა პროდუქტთან მიმართებაში ფასები განუხრელად მცირდება. ჩვენთვის მეორე მნიშვნელოვანი გარემოება ეროვნული ვალუტის კურსია. გასული წლის ანალოგიურ პერიოდს თუ შევადარებთ, 20%-ითაა გამყარებული ეროვნული ვალუტა. ამ ორი ფაქტორის კორელაცია საკმაოდ ხელშესახებ პირობას იძლევა იმისათვის, რომ ქართულ საცალო სასურსათო ბაზარზე ეს ფასები ასახულიყო“,** – განაცხადა **პაატა ბაირახტარმა** და დასძინა, რომ საზოგადოების პროტესტი ლოგიკურია, რადგან ფასები არ შეცვლილა.

**შესაბამისად, აფბამ მწარმოებლებსა და რითეილს შორის, მიწოდების ჯაჭვებში, ძირითადი ხარვეზები გამოავლინა და რეკომენდაციით მიმართა მთავრობას, რომ ამ ხარვეზებზეც ყოფილიყო ყურადღება გამახვილებული. როგორც პაატა ბაირახტარმა აღნიშნა, სწორედ ხარვეზები ზღუდავს კონკურენციას, რაც შემდეგ ფასებზე ისახება. ძირითადად საუბარია სავაჭრო ქსელების მიერ დაწესებულ გადასახადებზე, რომელსაც მომწოდებლებს უწესებენ.**

**ეკა ბაქრაძე**



# ავტორიტეტი

## ნაცნობი ტერმინის საიდუმლოებანი

**(პირველი გვერდიდან)** ავტორიტეტი შეიძლება იყოს, როგორც ვინმე პიროვნება, ისე პიროვნებათა ჯგუფი (მაგალითად, პარტია, კომპანია...); დაწესებულება (მედიასაშუალება, სკოლა, უნივერსიტეტი, სამედიცინო დაწესებულება...); თანამდებობა (მინისტრი, რექტორი, კათედრის ხელმძღვანელი, გუბერნატორი...); საერთაშორისო გაერთიანება (ევროკავშირი, დსთ, ნატო, სოროსის ფონდი...); თვით სახელმწიფოც კი (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, აშშ, ჩინეთი, შვედეთი, დანია, იაპონია, რუსეთი, ისრაელი...).

ვფიქრობ, მსოფლიო ისტორიისთვის საინტერესო ფენომენია, რომ გასული საუკუნის ტრაგიკული 30-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა და მალე თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა ცნება „ქურდული" (კრიმინალური) ავტორიტეტი. ამ საპატიო ტიტულის მოპოვებისთვისაც აუცილებელია, პრეტენდენტს გააჩნდეს ყველა ის თვისება, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ – ვიღაცის ჯიბეში ჩაძრომა, მაღაზიის გაძარცვა ან ბანკიდან ფულის გატაცებაც კი ქურდული ავტორიტეტის მოსაპოვებლად აშკარად უკმარია.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ, ზოგადად, ავტორიტეტი (მეცნიერული, პოლიტიკური, თვით ქურდულიც კი) შესაძლოა იყოს, როგორც ნამდვილი, ისე ყალბი. ყალბი ავტორიტეტების სიმრავლე, როგორც ალბათ უკვე თავადაც მიხვდით, განსაკუთრებით იგრძნობა პოლიტიკურ წრეებში. ეს ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას და საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთი მოწინავე და გამორჩეულია.

**როგორც კვლევები აჩვენებს, ავტორიტეტის თვისებებით შეიძლება დაჯილდოებული იყოს მოსახლეობის მხოლოდ 0,5-დან 5 პროცენტამდე. ნებით თუ უნებლიეთ, დანარჩენები შეუცნობლად მიჰყვებიან ნამდვილ ავტორიტეტს, თუნდაც უფსკრულში. ზუსტად ისე, როგორც ცხვრების უზარმაზარი ფარა წინამძღოლ ვაცს. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ - ადამიანური ცხოვრების ეს შეუვალი კანონზომიერება, რომელსაც პირობითად შეიძლება „ავტორიტეტის სინდრომი" დავარქვათ, ძალიან მნიშვნელოვანია.**

ახლა შევეცადოთ და, იქნებ სწორედ ამ ავტორიტეტის სინდრომის მოშველიებით ავხსნათ XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოში წამოწყებული დაუნდობელი და ერთი შეხედვით აბსურდული ბრძოლა ქართული ისტორიული და თანამედროვე ავტორიტეტების წინააღმდეგ.

**მართალია, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მაინც ეს ოციოდე წელიწადი ისტორიისთვის თვალის ერთ დახამხამებაზე ბევრად ნაკლებია. 2003 წლის მიწურულს ეგრეთ წოდებული „უსისხლო (ვარდების) რევოლუციით", სინამდვილეში კი – სახელმწიფო გადატრიალებით, – საქართველოს ხელისუფლების სათავეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის ტრიუმფალურ მისვლას ვგულისხმობ.**

ერთი თვალშისაცემი ფაქტის გახსენებით დავიწყოთ.

თითქოს უცნაურია, რომ ძალაუფლებისთვის მებრძოლი სააკაშვილის უმთავრესი მიზანი გახლდათ მოქმედი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტის განიავება. იმ კაცისა, ვინც უცნობი ბიჭუნა, მიშა სააკაშვილი ამერიკიდან ჩამოიყვანა, შვილივით გამოზარდა, პარლამენტის წევრის, კომიტეტის თავმჯდომარისა და მინისტრის სავარძლები უბოძა. ამ უცნაურობას ისიც ამძაფრებს, რომ იმჟამად 34 წლის სააკაშვილს ორიოდე წლის შემდეგ პრეზიდენტის სავარძლის დაკავება ურევოლუციოდ, მშობელ მამაზეც მეტად მოამაგე შევარდნაძესთან უბრძოლველად, არჩევნების გზით შეეძლო. მაგრამ საქმეც ის არის, რომ პატარა (ახალგაზრდა) მიშა პრეზიდენტობას დიდი (ასაკოვანი) შევარდნაძის მსოფლიო ავტორიტეტის გაუცამტვერებლად ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიპოვებდა. ლოგიკა საოცრად უბრალოა – მართალია, მე ყმაწვილური ასაკისა და უავტორიტეტო გახლავართ, მაგრამ შევარდნაძე ხომ რუსული კგბ-ს აგენტი, ქვეყნის დამაქცევარი, სამშობლოს მოღალატე და უმაქნისი ბერიკაცია! პრეზიდენტობისთვის ავტორიტეტულობა (გონი, ცოდნა, გამოცდილება...), სიბრძნე და მართვის სისტემების ცოდნა საჭირო არ არის – ახალგაზრდობა, რუსულ-ინგლისურ-უკრაინულ ენებზე ჭარტალი და ყალბი ქარიზმაც საკმარისია!

მართლაც ასე მოხდა – პრეზიდენტი შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა. მორჩილი და უგონო ცხვრების უზარმაზარმა ფარამ დოლა ბოტის მეთაურობით გათელა ავტორიტეტი. ამით სააკაშვილმა მის მიმდევარ უგონო ფარას დაანახა, რომ თუნდაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის სტატუსის მოსაპოვებლად ავტორიტეტულობა აუცილებელი სულაც არ ყოფილა. ისიც გააცხადა, რომ ავტორიტეტის დაუმხობლად ძალაუფლების მოპოვება ფუჭი ოცნებაა.



თუმცა, მან ვერ შეძლო მთავარი – ავტორიტეტის მოხვეჭა. ის, რაც თითქმის ერთი საუკუნით ადრე შეძლო, ვთქვათ, უზარმაზარი იმპერიის ხელისუფლების სათავეში ასევე რევოლუციის გზით და ასევე ახალგაზრდა ასაკში მისულმა იოსებ ჯუღაშვილმა (მაპატიეთ შედარებისთვის)... კაცმა, ვისი მსოფლიო ავტორიტეტის საიდუმლო გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგაც უდიდესი ინტერესის საგანია. ბევრ სხვასთან ერთად, სწორედ ავტორიტეტის კანონზომიერი შეუძლებლობა გახლავთ სააკაშვილისა და მისი „ჩემი გუნდის", ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ხელისუფლების სათავეში მარადიული დაუბრუნებლობის მთავარი მიზეზი.



**როგორც სტალინის შემდგომ „დიად საბჭოეთში", კოლოსალური ხარჯებისა და უამრავი პერსონის წამოყენება-გაფილტვრის მიუხედავად, რეალურ ავტორიტეტად სააკაშვილის ვერც ერთი ნაცმემკვიდრე ვერ ჩამოყალიბდა. საბოლოოდ კი ნაცბელადის კვარცხლბეკზე დულა ბოტის (ურქო ყოჩის) ადგილას რქიანი ბეკეკა, ვინმე კუდრაჭა ხაბეიშვილი აღმოჩნდა.**

**ნაცმოძრაობის, როგორც ყალბი ავტორიტეტის, ისტორია 2012 წლის ოქტომბერში საბოლოოდ დამთავრდა. მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, რა დამოკიდებულება ექნება საქართველოს მოქალაქეებს ნებისმიერი მოქმედი ხელისუფლებისადმი – ბოტი მოკვდა, ფარა დაიშალა, ყალბი ავტორიტეტის მიერ მოპარული ქონება მგლების ხახაში აღმოჩნდა!**

დავუბრუნდეთ ბოლო წლების საქართველოში, ზოგადად, ავტორიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის პერიპეტიებს.

დღევანდელ სტუდენტებს არა, მაგრამ მათ მშობლებს უეჭველად ახსოვთ სააკაშვილის ხელისუფლების წამოწყებული დაუნდობელი ბრძოლა თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტისა და მთლიანად ქართული განათლების სისტემის წინააღმდეგ: პროფესორ-მასწავლებელთა აბუჩად აგდება და კაბინეტ-ლაბორატორიებიდან გამოძევება, სამეცნიერო ინსტიტუტების დახურვა, ქიმერული „ოპტიმიზაციის" საბაბით უამრავი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გაუქმება, მთლიანად განათლების სისტემაზე უსასტიკესი პარტიული და ადმინისტრაციული კონტროლის დაწესება... ეს იყო არა ვიღაცის (თუნდაც, პრეზიდენტ სააკაშვილის) ახირება, არამედ ცხვრების ფარის ცნობიერებაზე ზემოქმედებისთვის გათვლილი სავსებით კანონზომიერი მოვლენა; ბრძოლა ზოგადად, განათლების ავტორიტეტის წინააღმდეგ – მერე რა, რომ მე, ნაცმოძრაობა, ბნელი და გაუნათლებელი ვარ, განათლება არ არის ავტორიტეტი!

თითქმის მაშინვე დაიწყო და ნაცოპოზიციის მხარდამჭერთა მხრიდან დღემდე გრძელდება თავხედური, ამაზრზენი, ცილისმწამებლური ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

**მართლმადიდებელი ეკლესია ქართული იდენტობის, ქართული სახელმწიფოებრიობის გადამრჩენელი, შემნახველი და დღემდე რუდუნებით მომტანია. იგი დღემდე რჩება შეუვალ ავტორიტეტად საზოგადოების მეტნაკლებად მოაზროვნე ნაწილისთვის რელიგიური რწმენისა თუ ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად. სწორედ ეს შეუვალი ავტორიტეტულობა, საზოგადოებაზე ეკლესიის გავლენა გახლავთ მის წინააღმდეგ ბინძური ბრძოლის (და არა კრიტიკის) მიზეზი. სააკაშვილის „ჩემი გუნდი" აკეთებდა და აკეთებს ზუსტად იმას, რასაც აკეთებდა საბჭოთა ხელისუფლება გასული საუკუნის 20-იან 30-იან წლებში - ეკლესიასთან ბრძოლით ცდილობს, გაითავისუფლოს გზა მრევლის ცნობიერის დაუფლებისკენ, დაამხოს მართლმადიდებელი რწმენის დღემდე შეუვალი ავტორიტეტი. გააკეთოს ის, რაც თავის დროზე ვერ შეძლეს სპარსელებმა, არაბებმა, მონღოლებმა თუ ოსმალებმა. დაამტკიცოს, რომ რეალური ავტორიტეტი არის არა მრავალტანჯული ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ ნაცმოძრაობა და მისი ნებისმიერი ბელადი.**

**2011 წლიდან მოყოლებული, ნაცოპოზიციისა და, საერთოდ, თანამედროვე ქართველი საზოგადოების უიღბლო, უნიჭო და კარიერულად უპერსპექტივო ნაწილის განსაკუთრებული ლანძღვა-გინების სამიზნედ იქცა ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი. კაცი, ვინც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული უანგაროდ ემსახურებოდა და ემსახურება საქართველოს აღმშენებლობას; ეწევა მილიარდობით დოლარის ქველმოქმედებას; უკვე დიდი ხანია, არ ერევა ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში... აქაც არავითარი უცნაურობა ან გაუგებრობა – ბიზნესმენი ივანიშვილი არის მსოფლიო დონის ავტორიტეტი; მშობელი ქვეყნის გარდუვალი სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირებისგან გადამრჩენელი; უამრავი თანამემამულის შემწე და მეოხი (პოტენციურ მოკრიტიკეებს, გთხოვთ, თავს ტყუილად ნუ შეიწუხებთ – პირადად მე და ჩემს ოჯახს, საახლობლოს მისი შემწეობა-მეოხებით არასოდეს გვისარგებლია!); ივანიშვილის ულტერნატივო ავტორიტეტის ნაუშლელად ნაცმოძის მკვდრეთით აღდგომა ყოვლად წარმოუდგენელია! ამოტომაც ებრძვიან.**

პარალელურად, მიმდინარეობს მთლიანად ქართველი ხალხის, მისი ისტორიის გატრიზავება. გაგიკვირდებათ და, ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის დამრიგებელი, პროფესორი ლევან ბერძენიშვილი. მისი და მისი თანამოაზრეების მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ქვეყნისთვის სიკეთეებიც უკეთებია, მაგრამ რად გინდა – თურმე მისი უკლებლივ ყველა შთამომავალი ნაძირალა და გათახსირებულია! ქართველი ერის სიამაყე პატარა კახი (მეფე ერეკლე), თურმე გამყიდველი და მოღალატეა; ილია ჭავჭავაძე ერთი ჩვეულებრივი რუსეთუმეა; გრიგოლ ორბელიანი ვინმე რუსი გენერალია; აკაკი – უნიჭო ლექსთამთხზველი, ბინძური მექალთანე და „კარტოჟნიკია"; სტალინი? - სტალინი ხელისუფლების თვითმარქვია არაქართველი უზურპატორი, მასობრივი რეპრესიების მამამთავარია და მეტი არაფერი; საერთოდ, ქართველი ხალხი (რა თქმა უნდა, ამგვარი მტკიცებულებების ავტორთა გარდა!) გამყიდველი, ზარმაცი და უსაქმურია...



ნურაფერი გაგიკვირდებათ. საქმე ის არის, რომ ამგვარ „მტკიცებულებათა" ავტორები, პროფესორ ბერძენიშვილის თამადობით, თავად არიან წარუმატებელი ადამიანები. სხვებზე ლაპარაკიც არ ღირს და, ფრიად განათლებული ბატონი ლევან ბერძენიშვილი, რბილად რომ ვთქვა, არის შეუმდგარი დისიდენტი; ზვიად გამსახურდიას მომხრე და მოწინააღმდეგე; ედუარდ შევარდნაძის მეხოტბე და მაგინებელი; სააკაშვილის თანამებრძოლი, დაუძინებელი მტერი და გამღმერთებელი; უმაქნისი რესპუბლიკური პარტიის თოჯინა-ლიდერი; მოკლედ, ავტორიტეტზე მეოცნებე უავტორიტეტო პერსონა.

რეალურ ავტორიტეტებს ისტორიაშიც და თანამედროვეობაშიც დაუნდობლად ებრძვიან ავტორიტეტზე უიმედოდ შეყვარებული ადამიანები. ფიქრობენ, რომ პოლიტიკურ სარბიელზე მათ დამსახურებულ წარმოჩენა-დაწინაურებას სწორედ ისტორიული თუ მოქმედი რეალური ავტორიტეტები აფერხებენ.



**ისტორიულ და ცოცხალ ავტორიტეტებთან დაუნდობელი ბრძოლა კაცობრიობის მარადიული სენია. სამწუხაროდ, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. მთავარია, ეს სენი დავინახოთ და მისგან თავის არიდება ვცადოთ.**

**ეს არის და ეს.**

**თეიმურაზ ქორიძე**






წმინდა იოთამ ზედგინიძის ხატი და ზედგინიძე-ამილახვრების ღერბი

# წინაპრების საგმირო საქმეებით ამაღლებული ზედგინიძეები

**ძველ საქართველოში საყურადღებო ჩვენებას იძლევა ფეოდალურ გვართა ერთი ჯგუფი, რომელთაგან ზოგი მიგრაციის შედეგადაა წარმოქმნილი. ერთ-ერთი ასეთი „მიგრაციული“ გვარ-სახელია სამხრეთ საქართველოში შობილი და საქართველოს სხვა კუთხეებში (ქართლი, იმერეთი) განფენილი გვარი ზევდგინიძე (ზედგინიძე), რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი ისტორიული ბედითა და თვითმყობადობით.**

ირკვევა, რომ ეს გვარი, ისტორიული ზემო ქართლის კუთვნილებაც ყოფილა! როგორც ისტორიკოსი ჯ. გვასალია შენიშნავს, „გვიანდელ წყაროებში შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისათვის ზემო ქართლის წოდება უნდა იყოს კავშირში ქართველი ხალხის ისტორიის ტრაგიკულ მომენტთან. კერძოდ, XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობასთან. მას შემდეგ, რაც ისტორიული ზემო ქართლი (გვიანდელი სამცხე-საათაბაგო) დიდი ხნის მანძილზე ჩამოშორდა ქართლის სამეფოს, მისი სახელწოდება გადავიდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე“ მისივე თქმით, როგორც XVII ს-ის ერთი საბუთიდან ჩანს, ავტორს ზემო ქართლის სადროშოში სხვა სათავადოებსა და სამთლობელოებს შორის (როგორიცაა: საამილახორო, სააბაშიძეო, საფალავანდიშვილო, საფავლენიშვილო, ხერხეულიძეების, დავითაშვილების, ამირეჯიბების, საავალიშვილო, ხიდირბეგაშვილების, მხეიძეების, დიასამიძეების, შალიკაშვილების, სამაჩაბლო, სიამარდიშვილების, თაქთაქიშვილების, ბატონიშვილის საუფლისწულო, მროველის, ურბნელის, მთავარეპისკოპოსის ზემო ქართლში, სადიდოფთლო, სვეტიცხოვლის, „იერუსალიმის“ ყმა-მამულეები ზემო ქართლში, თვალდაწერილიანთ სამთლომლოლო, ქავთარაძეების, თუხარელების, ტატიანთა, წერეთლის, იტროს წინამძღვრის, აბაზაძეების, დამღაწაშვილების და იაღუზიშვილების ყმა-მამულეები ამ ჩამონათვალში მოხსენიებულია ზედგინიძეების სახლად.

ჩანს, ამ შემთხვევაში სახლი უბრალო ტერმინი არაა. ნიკო ბერძენიშვილის ახსნით, სამთავროების გვერდით და „იმავე სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე ყალიბდებოდა უფრო მცირე, თვითკმარი ორგანიზაცია - დიდებული აზნაურის სახლი, რომელიც თანდათან ერთადერთი დასაყრდენი ხდებოდა გამრავლებული მთავრებისა თუ დამცირებული მეფეებისა. იქმნებოდა ე. წ. სათავადოები“. მისივე თქმით, XIV საუკუნეში დიდებული აზნაური, თავადის ეს უშუალო სოციალური წინაპარი, უკვე გამოჰყოფოდა აზნაურთა ფენას და საერთო ფენას წარმოადგენდა. დაბოლოს, მეფემ (ხელმწიფემ) ამ დიდებულ აზნაურს მიანდო ლაშქრის გამოყვანა („შეწერით“ და დაძახილზე, საჭიროების დროს) „თავისი სახლის ტერიტორიიდან“, რითიც ძველი ერისთავის სამხედრო ფუნქცია მას (დიდებულ აზნაურს) გადაეცა. ამით სათავადო საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ეს კი მოხდა XIV-XV სს-ში, ზევდგინიძეთა გვარის ქართლში დამკვიდრება სხვილოს მიღებით (მათი „მკვიდრი მამული“), მათთვის ქართლის სპასპეტისა და გორის მოურავის სახელის მიცემა. დროდადრო ზევდგინიძეები აფართოებენ თავიანთ სამფლობელოს და ერთ-ერთ დიდ სათავადოს ქმნიან. ასე წარმოიქმნა სხვა სათავადოებიც ქართლში (საციციანო, საბარათიანო, სამუხრანბატონო), იმერეთსა და კახეთში.

ზედგინიძეები წარმოშობით მესხეთიდან არიან. ისინი ამჟამად მკვიდრობენ სოფელ ძველში (ასპინძის რ-ნი), იმერეთში (ხარაგაულის რ-ნი) და სხვაგანაც. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი ამ გვარს წარჩინებულთა შორის მოიხსენიებდა. იგი აღნიშნავს: „ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არს გუარნი, გარნა წესი მეჯინიბეთუხუცესობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გუარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი“... „გააზნაურებულიშვილნი: ვითარც რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი, ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზიშვილი, მათგან გამთავრებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა ჩანს, მოგვიანებით მეფეს გაუმთავრებია სააკაძე (მისი მეორე გვარი მოურავიშვილი); ამილახვრები ზედგინიძეები არიან“. საყურადღებოა ემბლემა, გამოსახული წმინდა გიორგის დროშაზე, სადაც ამილახვრების თანამდებობის სიმბოლოდ ჩექმაა გამოსახული. აღვნიშნავთ იმასაც, ამავე ემბლემაზე ჩანს მეფის საწოლში განგმირული ქართველი მეომარი და მეფის მსახური, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა იოთამ ზედგინიძე, ამილახვართა ემბლემის ქვედა ბოლოში ვხედავთ ზემო ქართლის სადროშოს სარდლობის სიმბოლოებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ამილახვართა ბეჭედი და მასზე აღბეჭდილი ლექსად გარითმული წარწერა, მეფის ერთგულების დამამტკიცებელი:

**„მეფისა მტერსა ლახვარი,**
**ვამტკიცებ ამილახვარი“.**

ზედგინიძეთა გვარ-სახელის განაყარი შტოგვარებია: გურამიშვილი, ხიდირბეგიშვილი, ტუსიშვილი, მაჩხანელი, მეყანწიშვილი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ამ გვარეულობამ ქართლში (მესხეთიდან გადასახლების შემდგომ) მიიღო ამილახვრობა. ნაწილი იმერეთშიც გადასახლებულა. მაგ. XIX საუკუნის 40-იანი წლების საარქივო ცნობარი გვაუწყებს, რომ ზედგინიძე სახელმწიფო აზნაურია ქუთაისში, ამ გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ზედგინ, ზევდგინ[].

ზედგინ მამაკაცის სახელად გვხვდება ქართველურ ანთროპონიმიაში, ისტორიულ საბუთებში, ზევდგინ. ზედგინიძე გვარ-სახელი დოკუმენტურად დამოწმებულია იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მინაწერებში (მოსახსენებლებში). მაგ. ერთ-ერთ სააღაპე მინაწერში ვკითხულობთ:

1. „სულსა ზედგინიძე ჯანიბეგისა, შეუნდვენ ღმერთმან“.

2. „სულსა ზედგინიძესა ავთანდილს შეუნდვენ ღმერთმან და მისსა მეუღლესა გულშარს შეუნდვენ ღმერთმან“;

3. „ზედგინიძესა მამისასა შეუნდვენ ღმერთმან“;

4.მისსა ძესა ზედგენიძესა თაყასა შეუნდვენ ღმერთმან;

ზედგინიძე-ამილახვართა საგვარეულო ფონდის ორგანიზებით, დაიბეჭდა წიგნი „ამილახვრები“. 2013 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოსა და ზედგინიძე-ამილახვართა საგვარეულო ფონდის ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა წიგნის „ამილახვრები“ წარდგინება. წიგნი დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

წიგნში შესულია მეფისათვის თავდადებული წმ. იოთამ ზედგინიძის პარაკლისი და დაუჯდომელი, ასევე ამილახვართა კავშირის ისტორია, წმ. იოთამ ზედგენიძის ცხოვრების დეტალები, გვარის გამორჩეული წარმომადგენლების – სასულიერო და საერო მოღვაწეთა ცხოვრებანი, თავად ალექსანდრე ამილახვრის ნაშრომი „სიბრძნე აღმოსავლეთისა“. წიგნის გარეკანზე დატანილია წმ. იოთამ ზედგინიძის ხატი, რომლის ავტორია ხატმწერი მერაბ ჩაკვეტაძე. წიგნს ახლავს ისტორიული ფოტომასალა ამილახვართა სახელმწიფო და საოჯახო არქივებიდან.

წიგნის ავტორია ნინო ამილახვარი; რეცენზენტები: – მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი), მიტროპოლიტი შიო (მუჯირი); კონსულტანტები: – იღუმენია ელისაბედი (ზედგენიძე); ზედგინიძე-ამილახვართა გვარის წინამძღოლი შოთა ზედგინიძე; რედაქტორი – ია ბაგრატიონ-მუხრანელი; ისტორიკოსები – როინ მეტრეველი, ზურაბ რატიანი;

პარაკლისისა და დაუჯდომელის შემდგენელმა თინათინ მჭედლიშვილმა და სხვებმა შეკრებილთ გააცნეს წიგნის თავისებურებანი, ქართული გვარების უნიკალური საუნჯე, ყურადღება გაამახვილეს საგანმანათლებლო ტრადიციის გაგრძელების აუცილებლობაზე.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში დიდგვაროვანი თავადი გურამ ზედგინიძე (უკვე დიდგვაროვან თავადად მოიხსენიებოდა) სამცხედან ქართლს გადავიდა და დასახლდა სოფელ გორთუბანში, რომელსაც მერე მის საპატივსაცემოდ საგურამო ეწოდა. იგი ყოფილა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დიდი პაპა. გურამ ზედგინიძე დაკრძალულია ზედაზნის მამათა მონასტერში.

ტუსიშვილები ზედგინიძეთა გვარის განშტოებაა, XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა ნინოწმინდელი ეპისკოპოსი საბა (ტუსიშვილი), რომელმაც აღადგინა წმინდა ნინოს ტაძარი ნინოწმინდაში (საგარეჯოს რაიონი), ასევე საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ქართველი ფიზიკოსი გიორგი კურკუმელი, იგი ზედგინიძეების გვარის განშტოებაა.

ბალანთელი ზედგინიძეების ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ მწერალი გიორგი ზედგინიძე. იგი არაერთი რომანის, დრამის და პატრიოტულ მოტივზე დაწერილი ლექსის ავტორია. მასვე ეკუთვნის ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევები, რომლებსაც აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. მისი მთავარი ნაწარმოებია ისტორიული რომანი „დედის ტაძარი“, რომელშიც ასახულია XVII საუკუნის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მძიმე და გმირული ცხოვრება. ამავე ავტორის ისტორიული პიესისა „მანუჩარ ჯაყელი“ და რომანისა „გატეხილი ხიდი“. რომანში ასახ-





ზედგინიძე-ამილახვრების ერთი ჯგუფი



ღირსი ნინო ამილახვარი და წმინდა ნინო ამილახვარი

ულია XVIII საუკუნის ქართლის რთული და დაძაბული ცხოვრება. მესხეთის სახელმწიფო თეატრში დაიდგა მისი ერთ-ერთი დრამა. მის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია საბჭოთა ენციკლოპედიაში. გიორგი ზედგინიძის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ჯავახური ლექსიკონი“, რომელშიც შესულია 28 ათასამდე სიტყვა. მისი სახელობისაა ქ. ბორჯომის ერთ-ერთი ქუჩა. გიორგი ზედგინიძის მიერ დატოვებული მდიდარი არქივი ინახება მისი ვაჟის, ვლადიმერ (ვოვა) ზედგინიძის ოჯახში. ბატონი ვოვას მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გიორგი ზედგინიძე ყოფილა ინიციატორი ბორჯომის ხეობაში არსებული მწვანე მონასტრისა და ქვაბისხევის რესტავრირებისა. მას ასევე ერთ-ერთ პირველს შეუსწავლია ქვაბისხევის მონასტერში არსებული XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ახალგაზრდა ვაჟი და შუახნის ქალი, გაუმახვილებია ყურადღება ფრესკაზე გაკეთებული წარწერებისთვის: „შოთა“ და „იაი“ და ერთ-ერთ პირველს გამოუთქვამს საკმაოდ თამამი ვარაუდი, რომ ფრესკაზე გამოსახული მამაკაცი უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველი, ხოლო ქალი – მისი დედა.

ზედგინიძეების ცნობილი პიროვნებებიდან არ უნდა დაგვავიწყდეს მორაგზე ილია ზედგინიძე და მისი სახელოვანი პაპა პირველი ქართველი აკადემიკოსი მედიცინის დარგში და საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი 70-80-იან წლებში – ილია ზედგინიძე. საყოველთაოდ ცნობილია 80-იანი წლების სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ალექსანდრე ზედგინიძე; პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწე ელექტრონული მზომელობის კათედრის გამგე, პროფესორი გიორგი ზედგინიძე;

გვარში მრავალი მეცნიერი, წარმატებული ექიმი, პედაგოგი, ხელოვანი და სხვადასხვა დარგის პიროვნებებია, რომლებიც ერთგულად იღვწიან გვარის და დედასამშობლოს საკეთილდღეოდ.

**შოთა ზედგინიძე,**

**ზედგინიძე-ამილახვართა გვარის წინამძღოლი, საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი.**

ზედგინიძეების მიერ აგებული სხალტბის კვირაცხოვლის ეკლესია მცხეთა-მთიანეთის მხარეში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სხალტბაში მდებარეობს.

ძეგლი მოიცავს ორ ძირითად სამშენებლო ფენას. პირველი ფენა XII საუკუნით თარიღდება, ამ პერიოდს მიეკუთვნება კედლების სიმაღლე ნახევრამდე, XVII საუკუნეში ტაძარი ორჯერ აღუდგენიათ და ერთ-ერთი აღდგენისას აიგო კარიბჭეც. შესასვლელის ტიმპანის მხედრული წარწერის მიხედვით, ეკლესია აუგიათ ივანე ზედგენიძის ძის – სახლთუხუცესი შიოსა და მისი თანამეცხედრის I თამარის ბრძანებით, 1669 წელს. კარიბჭის ერთ-ერთ სვეტზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი – ოსტატი მელქან ფურცხვანიძე. სხალტბის ეკლესია დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს სამხრეთის კარიბჭით. შესასვლელი ერთია – სამხრეთიდან. დარბაზი აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. აფსიდში განიერი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს გეგმით სწორკუთხა, დიდი ზომის თაღოვანი ნიშაა განთავსებული, ქვეშ კი ტრაპეზის ქვა დგას. თითო სარკმელია ეკლესიის დანარჩენ კედლებშიც. საკურთხეველი, დარბაზის იატაკთან შედარებით, ერთი საფეხურით ამაღლებულია. დარბაზის კამარა პილასტრებზე გადაყვანილ შეისრულ თაღებს ეყრდნობა. ინტერიერი შელესილია, იატაკი კი აგურითაა მოფენილი. კარიბჭის სამხრეთ კედელი სამ რვა წახნაგოვან ბოძზე გადაყვანილი შეისრული თაღებითაა გახსნილი. სვეტების წინა მხარეები ჯვრებითა და დეკორატიული ელემენტებითაა მორთული. შემკულობა ერთმანეთისგან განსხვავდება – ვხვდებით როგორც მცენარეულ, ისე წნულ ორნამენტებს. თაღები ნახევარდისკოების მწკრივითაა დეკორირებული, განაპირა კედლების კუთხეები კი – ლილვებით, ბირთვებითა და მცირე ფიგურებით. ეკლესიის სამხრეთი კედელი ყრუ თაღებითაა დანაწევრებული, რომლებიც მოყვანილობითა და სვეტების შემკულობით კარიბჭის თაღნარს ეხმიანება. მინაშენის ფასადები ორნამენტირებული ლავგარდნით სრულდებოდა, მისი ნაწილი აღმოსავლეთ ფასადზეა შემორჩენილი. ძირითადი ნაგებობის ფასადებს აგურის წყობით შედგენილი ლავგარდანი ასრულებს. ეკლესია ნაგებია ბრტყელი, ქართული აგურით, კარიბჭე თლილი ქვითაა მოპირკეთებული.

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით წმინდა იოთამ ზედგინიძის სახელობის ეკლესია გააშენა ჯარმა, გამნაღმველების ბატალიონმა თავიანთი ხელფასის შემოწირულობით,წმინდა იოთამი როგორც მაგალითი სამშობლოსათვის თავგანწირვისა, რომელიც მდებარეობს ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე. ასევე წმინდა იოთამ ზედგინიძის სახელობის ეკლესია გაშენდა ვარკეთილის მეოთხე მიკრორაიონში, სადაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გივი ზედგინიძის ოჯახს და მის ძმებს ზედგინიძეებს.

**ვალერიან ლომიძე,**

**ლომიძეთა გვარის წინამძღოლი, საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**



ბოლნისი, სოფელი რაჭისუბანი, წმინდა იოთამ ზედგინიძის ტაძართან.




# ბრმა მორჩილება, მონებო! – თორემ ევროპას ვერ ეღირსებით!

## სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას!

**ამაზე დიდი პარადოქსი რა უნდა იყოს? – „მეგობრები“ ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებიდან, დემოკრატიის სახელით, საკითხის განხილვის(!), მასზე მსჯელობის(!) უფლებას გვიზღუდავენ(!). არათუ გვიზღუდავენ – გვიკრძალავენ(?), რადგან ყველა მათი „შეგონება“ დამოუკიდებელი და ღირსების მატარებელი სახელმწიფოსთვის ყოვლად მოუთმენელი, დღემდე გაუგონარი მუქარებით მთავრდება – „...თორეეე, ვერ ეღირსებით ევროატლანტიკურ გზაზე წინსვლასო“.**

იცით, ეს რას ნიშნავს, ჩემო კეთილო მკითხველო? – ეს იმას ნიშნავს, რომ **„დაცულობისა და კეთილდღეობის“ სანაცვლოდ ჩვენგან ბრმა მორჩილებას ითხოვენ,** ანუ „ჰოპლას“ ერთ დაძახებაზე, თუ ჩვენს დაკრულზე არ იცეკვებთ, არაფერში გვჭირდებითო. **„დაცულობას და კეთილდღეობას“ ბრმა მორჩილების სანაცვლოდ,** „ენციკლოპედიური განმარტებით“, ოდითგანვე, ერთი **მეტად დამამცირებელი სახელი აქვს – მონა.**

ეს ხომ ერთი შემთხვევა არ არის, ეს ხომ გამონაკლისი არ არის მათი მხრიდან? – მარტო ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი დამაფიქრებელი ფაქტი და მოვლენა დაგროვდა: **არეულობისა და გადატრიალების მცდელობა 2020 წლის არჩევნების შემდეგ,** ამერიკისა და ევროკავშირის ელჩების მხრიდან პროცესებზე „საეჭვო“ მოდერატორობით; **არეულობისა და გადატრიალების მომზადება 2021 წლის არჩევნებისთვის,** მის წინმსწრებ პერიოდში ამერიკის საელჩოსა და ევროკავშირის ფართო წარმომადგენლობის „საეჭვო“ ჩართულობით, ანტიდემოკრატიული (43%-იანი ბარიერი) „რეკომენდაციებითა“ და მკვეთრად ნეგატიური როლით; **კანდიდატის სტატუსის არ მოცემა,** როცა სხვებზე უპირატესი ვიყავით; **ევროპარლამენტის სამი სამარცხვინო, ქვეყნისა და ერისთვის ყოვლად შეურაცხმყოფელი რეზოლუცია...** ახლა კიდევ ეს ისტერიკა – გამჭვირვალობა რა თქვენი საქმეა, თქვე მეორეხარისხოვნებოო.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის საერთო შინაარსი ასე გამოიყურება – **ფაქტი და არგუმენტი არ გვაინტერესებს... სანამ მუხლებზე დაჩოქილს არ გნახავთ, გასაქანს არ გაღირსებთო.** ასე რომ, ასკინკილათი შესვლა, დაოთხილი შესვლა თუ ხოხვით შესვლა... თუ ღირსებით ქვეყნის ინტერესების დაცვა – „საკითხავი აი, ეს არის“!..

ბოლო ფრაზით, ჩემო მკითხველო, ხატოვნებას გადავუხადე ხარკი, თორემ **ვისაც ეს ქვეყანა გვიყვარს და ჩვენ სამშობლოდ მიგვაჩნია, დიდი ხანია, ვთანხმდებით, რომ - თუ სადმე შესვლას გადავწყვეტთ, ეს იქნება მხოლოდ წელში გამართული შესვლა(!).**

ამ დიდი ისტორიის მეორე ტრაგიკული ამბავი ის არის, რომ **საერთო აღიარებით, რაც მთავარია, ევროკავშირის სახელმწიფოების მოქალაქეთა დიდი ნაწილისა და პოლიტიკოსთა გარკვეული გავლენიანი წრეების აღიარებით, თვითონ ევროკავშირი არ არის თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებული **ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოების წინაშე არაერთხელ დაისვა სრულიად ლეგიტიმური კითხვა – გვინდა კი ისეთი ევროპა, რომელიც თვითონ წარმოადგენს დანამატს და გლობალური ომის პარტიის ბრძანებების ბრმა შემსრულებელს?**

აირია მონასტერი... **„დემოკრატიულ დასავლეთში“ სიტყვა და საქმე, პრინციპები და რეალობა ისე არასდროს ყოფილა ერთმანეთისგან დაშორიშორებული, როგორც ამას ბოლო წლებში ვაკვირდებით,** განსაკუთრებით ამერიკის უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ვითარების კიდევ უფრო არევას ხელს უწყობს ომი უკრაინაში. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, უფრო მეტიც, დარწმუნებული ვართ, რომ **არიან ძალები, ვინც ამ წინასწარ დაგეგმილ არეულობაში ხელს ითბობს.** სწორედ **ამ ძალების კრებსითი სახელია „გლობალური ომის პარტია“** და მთელი პროცესი ამ ერთი დიდი ცენტრიდან იმართება.

**ჩვენი ამოცანაა, აღნიშნული ცენტრის მიერ ჩვენთვის განსაზღვრული „მეორე ფრონტისა“ და „საზარბაზნე ხორცის“ როლი როგორმე ავიცილოთ თავიდან.**

უკრაინის ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, სავარაუდოდ, ამერიკის მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. უახლოეს დღეებში „გლობალური ომის პარტიის“ ოფისის საქართველოს ფილიალი, **აშშ-ის საელჩო, სუსტი ელჩის უფრო გამოცდილი კადრით ჩანაცვლების შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდება.** უნდა ველოდოთ, **მათთვის არასასურველი ეროვნული ხელისუფლების მარიონეტული რეჟიმით ჩანაცვლების** მიზნით, ახალ-ახალი არევის მექანიზმების გამოყენებას.

ჯერჯეროგით მაგრად ვდგავართ და იმედია, ასე გავაგრძელებთ. სხვანაირად გამორიცხულია, სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას.

**ბიძინა დვალი,**

07.03.2023 წ.

---

**P.S. ძველ საბჭოთა დროში თბილისის მავანი სტუმარი თურმე სასტუმრო „საქართველოს“ ტელეფონზე რეკავდა და შემთხვევით ვილაცის ბინაში მოხვედრილა!**

**– „ალო, ეს საქართველოა?..“ – უკითხავს სტუმარს.**

**– „სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნასო...“ – უპასუხია კაცის ხმას.**

# მოწვევა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი

**სესხის № 3715-GEO**

დავალების სახელწოდება: ადგილობრივი კონსულტანტის შერჩევა მცირე მეწარმეებისთვის მეწარმეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ტრენინგების განსახორციელებლად

**საიდენტიფიკაციო №** KUPR/CS/CQS-02

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის** განხორციელებისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს/ორგანიზაციებს (შემდგომში კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **ადგილობრივი კონსულტანტის შერჩევა მცირე მეწარმეებისთვის მეწარმეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ტრენინგების განსახორციელებლად.**

დავალების მიზანი: **მეწარმეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ტრენინგის პროგრამის მიზანია, ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტების მიმდებარე თემებიდან/სოფლებიდან ამჟამინდელი ან პოტენციური ქალი და კაცი (მცირე) მეწარმეების მხარდაჭერა, ინდივიდუალური მეწარმეობის ან მცირე ბიზნესის განვითარების კუთხით. ტრენინგი ორიენტირებული იქნება მეწარმეობის უნარების განვითარებაზე, მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე; ტრენინგი დაფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ბიზნესის წამოწყება ან განვითარება, ადგილობრივი პროდუქტის პოტენციალის იდენტიფიცირება, ბაზართან დაკავშირება, საწარმოს მართვა, პროდუქციის განვითარება, შეფუთვა, მარკეტინგი და სხვა დაკავშირებული საკითხები. ტრენინგი დაიგეგმება ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე, რომელიც ჩატარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში.**

კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება 5 ტიპის ტრენინგის ჩატარებაზე. 4 პროქტისთვის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (შორაპანი - არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტს) კონსულტანტი მოაწყობს 3 ტრენინგს საწარმოს მართვაზე, პროდუქტის განვითარებაზე, შეფუთვაზე, მარკეტინგზე, გზის მიმდებარე თემიდან/სოფლებიდან ამჟამინდელი და პოტენციური მამრობითი და მდედრობითი სქესის (მცირე) მეწარმეებისთვის, მინიმუმ 100 ქალისა და კაცის მონაწილეობით (მათ შორის მინიმუმ 50% ქალების ჩართულობით). კონსულტანტი ასევე პასუხისმგებელი იქნება 2 პროექტისთვის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის (ხევი-უბისას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტი) 2 ტიპის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების და ბიზნესის განვითარების ტრენინგების ჩატარებაზე, გზის მშენებლობის მიმდებარე თემების/სოფლების მცხოვრებთა მონაწილეობით (მინიმუმ 100 ქალისა და კაცის მონაწილეობით, მათ შორის მინიმუმ 50% ქალების ჩართულობით), რათა ადგილობრივებმა პროექტისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღონ. კონსულტანტი ასევე პასუხისმგებელი იქნება წინასწარი და ტრენინგის შემდგომი ტესტების მომზადებასა და ჩატარებაზე ყოველი ტრენინგის წინ და შემდგომ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: **საკონსულტაციო კომპანიას/ორგანიზაციას უნდა ქონდეს შემდგომი კვალიფიკაცია:**

სასურველია 5 წლიანი შესაბამისი გამოცდილება ტრენინგ-პროგრამების ჩატარებაში შესაძლებლობების გაძლიერების, მენტორობის კუთხით (რომელიც მოიცავდა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, მცირე ბიზნესის მენეჯმენტს გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით და ა.შ.);

დადასტურებული გამოცდილება გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგის მოდულების, ინსტრუმენტების, ანგარიშების, ტრენინგების და ა.შ. შემუშავების კუთხით;

კვალიფიციური პერსონალის, მატერიალური ბაზის და ინსტრუმენტების მობილიზების შესაძლებლობა ქალი და კაცი მეწარმეებისთვის ტრენინგებისა და მენტორობის სესიების ჩასატარებლად. პერსონალის მიერ მცირე მეწარმეობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ სიღრმისეული ცოდნა;

ტრენინგების დაგეგმვის და განხორციელების გამოცდილების გამოცდილება, რომელიც მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებს;

ქალი მეწარმეებისა და ქალების საკუთრებაში მყოფი საწარმოების შესახებ ინფორმირებულობა;

განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალური ანგარიშების ინგლისურ ენაზე მომზადების გამოცდილება; და გენდერული თანასწორობის საკითხებზე და/ან ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;

დავალების ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვეს.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის გამოყენებით: https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186521

დაინტერესებულ პირებს ინტერესის გამოხატვა შეუძლიათ მოცემული ბმულის მეშვეობით **2023 წლის 6 აპრილამდე.**

# ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2022 წლის ფინანსური ანგარიში

2022 წელს სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის **135152** ლარი.

2022 წლის ხარჯებმა შადგინა **128455** ლარი.

2022 წელს ჩატარდა 53 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ვეტერანების მატერიალური დახამრება (368-ჯერ), ომის მონაწილის 2 ვეტერანთან შეხვედრა, გაზეთში ვეტერანების ნეკროლოგების განთავსება - სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა - **63125** ლარი. ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა **60672** ლარი, საკანცელარიო ხარჯი **826** ლარი, კომუნიკაციურ მომსახურეობა **573** ლარი, ბანკის მომსახურეობის საკომისიო **450** ლარი, დარიცხული 2022 წლის ამორტიზაცია **587** ლარი, დარიცხული ქონების გადასახადი **19** ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა **144** ლარი, აუდიტის მომსახურეობა **1180** ლარი, ოფისის იჯარა **600** ლარი, მარაგის ჩამოწერა **279** ლარი.

## ბალანსი 1/01-2023 წლისთვის

| აქტივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს | პასივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიმდინარე აქტივები | | | | მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| ნაღდი ფული სალაროში - 1110 | 10 | 39,00 | 0,00 | მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები-3110 | 310 | 32,00 | 34,00 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე - 1210 | 20 | 12252,00 | 10832,00 | მიღებული ავანსები-3120 | 320 | | |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან - 1410 | 40 | 5800,00 | 2200,00 | გადასახდელი ხელფასები-3130 | 330 | | |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ - 1420 | 41 | | | გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება-3380 | 370 | 1,00 | 5,00 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-1430 | 60 | | | სულ მიმდინარე ვალდებულებები | | 33 | 39,00 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-1490 | 90 | | | საკუთარი კაპიტალი | | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **18091,00** | **13032,00** | სხვა საოპერაციო შემოსავლები - 6190 | 610 | 23522,00 | 17967,00 |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | გაუნაწილებელი მოგება-5310 | 540 | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები-1700 | 160 | 0,00 | | დაუფარავი ზარალი-5320 | 550 | | |
| მარაგები -1690 | 170 | 2275,00 | 2372,00 | **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **23522,00** | **17967,00** |
| **სულ მატერიალური მარაგი** | | **2275,00** | **2372,00** | **სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი** | | **23555,00** | **18006,00** |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | | | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | | | | |
| ოფისის აღჭურვილობა-2160 | 230 | 3189,00 | 2602,00 | | | | |
| სხვა ძირითადი საშუალებები-2190 | 250 | | | | | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **3189,00** | **2602,00** | | | | |
| **სულ აქტივები** | | **23555,00** | **18006,00** | | | | |
| | | | | | | | |

თავმჯდომარე **იაშა ბოლქვაძე**

ბუღალტერი **ციცინო ბენაშვილი**

ფინანსური მენეჯერი **ნინო ჩირგაძე**

## REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project
**Project Loan.** 3715-GEO
Name of the Assignment: National Entrepreneurship and Livelihood Development Training for Micro Entrepreneurs' Consultant
**Contract/RFP No:** KUPR/CS/CQS-02

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **East-West Highway (Khevi-Ubisa Section) Improvement Project** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies/organizations (here and after "Consultants") to express their interest in providing the following services: **National Entrepreneurship and Livelihood Development Training for Micro Entrepreneurs' Consultant.**

**The objective of the assignment:** The objective of the entrepreneurship and livelihood training program is to support current or potential male and female (micro) entrepreneurs from the surrounding communities of the road construction projects with the capacity development in sole entrepreneurship or small business development. The training module will be oriented to conduct a training on entrepreneurship and market skills, to strengthen their capacity, to start or develop their businesses and be able to identify local product potential, facilitate and establish linkages to market, provide information on enterprise management, product development, packaging, marketing and other related topics. The training module will be based on the findings of the market survey that was conducted in the framework of the East-West Highway (Khevi - Ubisa Section) Improvement Project.

The Consultant will be responsible for conducting 5 types of trainings. For the F4 (Shorapani - Argveta Project) the consultant will organize 3 skills trainings on enterprise management, product development, packaging, marketing for current and potential male and female (micro) entrepreneurs from the surrounding communities/villages with the outcome of at least 100 women and men potential, current entrepreneurs, with at least 50% women demonstrating knowledge and skills on enterprise management, product development, packaging, and marketing. The Consultant will be responsible for conducting 2 types of livelihood trainings and/or business development trainings for F2 (Khevi-Ubisa Project) surrounding communities to maximize their benefits from the project road with participation of at least 100 women and men, out of which 50% of training attendees are women. The Consultant will also be responsible for preparation and conducting the pre-training and post-training tests before and after each training session.

**Qualification Requirements:** Consulting Organization/Firm having the below listed qualification are encouraged to participate:

- preferably 5 years of relevant experience in conducting training programs on capacity building, mentorship sessions including livelihood aspects, small business management coaching in gender-sensitive manner and etc.;
- demonstrated capacity based on previous related work in the form of developing gender-sensitive training modules, tools, reports, and conducting trainings and etc.;
- ability to mobilize qualified personnel, facilities and tools to carry out trainings and mentorship sessions for female and male entrepreneurs; personnel with deep understanding of enterprise and livelihood development;
- experience in training design and training facilitation, in which includes training topic on gender equality and the empowerment of women;
- sound understanding on women-owned enterprises and women entrepreneurs in Georgia;
- experience in developing detailed reports on implemented activities in English; and
- working experience on gender equality issues and/or on women 's economic empowerment is an asset.

Duration of the assignment is 6 months.

Selection will be done according to the recruitment of consultant qualification method provided in Procurement Regulations for ADB Borrowers (available at https://www.adb.org/sites/default/files/procurement-regulations-adb-borrowers.pdf )

Expressions of Interests (EOIs) will be submitted in the English language by means of the ADB web-page: https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=186521

Interested individuals shall follow the link to participate in the selection not later than **April 06, 2023.**


# სამხრეთ კორეის პრეზიდენტი – კორუმპირებულებს დაუნდობლად ებრძვის!

დღეს, სამხრეთ კორეა ერთი მდიდარი და ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ, წინათ, სულ სხვანაირად იყო საქმე. 1910-დან 1945 წლამდე, კორეა იაპონიის კოლონია იყო. მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შედეგ, ქვეყანამ თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ ორ ნაწილად გაიყო – ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეად. 1950 წელს, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მხარდაჭერით, ჩრდილოეთ კორეის ჯარები სამხრეთ კორეაში შეიჭრნენ. ასე დაიწყო კორეის ცნობილი ომი, რომელშიც სამხრეთს ამერიკა ეხმარებოდა. 1953 წელს, ომი შეწყდა, მაგრამ კორეა ისევ გაყოფილია. ჩრდილოეთში კომუნისტური დიქტატურა განაგრძობს ქვეყნის მართვას. სამხრეთი კი, დემოკრატიულ, კაპიტალისტურ ქვეყნად რჩება. მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე, სამხრეთ კორეაში სიღარიბე მძვინვარებდა, მაგრამ სწორმა და გაბედულმა რეფორმებმა ის აზიის ერთ-ერთ უძლიერეს ქვეყნად აქცია. ცნობილი კორეული ფირმები სამსუნგი, ჰიუნდაი, ელჯი და კია დღეს მსოფლიოს მოწინავე ბრენდებია.



დღეს, ქვეყნის პრეზიდენტი 62 წლის იუნ-სუკ-იოლი გახლავთ. იგი პროფესორების ოჯახში დაიბადა სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში. მამა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრია, რომელმაც კორეის სტატისტიკის საზოგადოება დააარსა. დედაც მაღალი რანგის მეცნიერი და პედაგოგია. იუნმა წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და სეულის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. მან წარმატებით მოიპოვა ყველა აკადემიური ხარისხი. უცნაურია, მაგრამ საადვოკატო გამოცდებზე ოთხჯერ ჩაიჭრა. მხოლოდ მე-5 მცდელობაზე მიიღო ლიცენზია. ერთხანს, პროკურატურაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. უმეტესწილად, კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეებს იძიებდა. 1999 წელს, სეულის პროკურატურის ანტიკორუფციული სამმართველოს უფროსად დანიშნეს. ახალი დანიშნული იყო, როცა სეულის მერიის მაღალი თანამდებობის პირი დააკავა, რის გამოც, იუნ-სუკ-იოლს სამხრეთ კორეის მაშინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან პრობლემები შეექმნა, მაგრამ შეუდრეკელმა ახალგაზრდამ ზეწოლას გაუძლო. 2002 წელს, იუნი, მეუღლის რჩევით, პროკურატურიდან წამოვიდა და ცნობილი საადვოკატო ფირმის პარტნიორი გახდა, სადაც მხოლოდ ერთი წელი იმუშავა.

კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდს ასე უთქვამს, ჩემი ცხოვრების მიზანი ქვეყნის სადარაჯოზე ყოფნააო. იუნი მშობლიურ პროკურატურას დაუბრუნდა და კორუფციის წინააღმდეგ თავის ცხოვრებისეულ ბრძოლას შეუდგა. სულ ცოტა ხანში, თანამდებობის რამდენიმე პირი დააკავა, მათ შორის, ახალარჩეული პრეზიდენტის აპარატის ორი თანამშრომელი. 2006 წელს, სეულის პროკურატურამ, იუნის ხელმძღვანელობით, ჰიუნდაის კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ აღძრა საქმე. მაშინ, კომპანიის დირექტორი, არც მეტი, არც ნაკლები, ჰიუნდაის დამაარსებლისა და მფლობელის შვილი იყო, რომელსაც მთავრობის ერთ-ერთი წევრისთვის 106 მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამის მიცემა ედებოდა ბრალად. შემთხვევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. საქმე შეფასდა, როგორც მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და კანონის უზენაესობის ნიმუში სამხრეთ კორეაში. ამის შემდეგ, იუნ-სუკ-იოლს თავის ქვეყანაში აღიქვამდნენ, როგორც კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ გმირს. 2016 წელს, იუნი სამსუნგის კომპანიის შესახებ გამოძიებას ხელმძღვანელობდა. გახსნილმა დანაშაულმა და აგორებულმა სკანდალმა დიდი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის ახლო მეგობარი სამსუნგის კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად სერიოზულ მაქინაციებში იყო გარეული.

მოგვიანებით გაირკვა, რომ კორუფციაში ქვეყნის პრეზიდენტიც იყო გასვრილი, რასაც პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამოცხადება და, გადადგომის შემდეგ, მისი გასამართლება მოჰყვა. 2019 წელს იუნ-სუკ-იოლი პარლამენტის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამხრეთ კორეის გენერალურ პროკურორად დაინიშნა. მის ხელში, პროკურატურამ იუსტიციის მინისტრის საქმის გამოძიება დაიწყო, რის გამოც, იუნ-სუკ-იოლს ქვეყნის ახალ პრეზიდენტთან და, მთლიანად, მმართველ პარტიასთან გაუფუჭდა ურთიერთობა. მინისტრი კი გადადგა, მაგრამ გენერალური პროკურორის წინააღმდეგ მთელი მმართველი პარტია ამხედრდა. ყველა ელოდა იუნ-სუკ-იოლის თანამდებობიდან გადადგომას. 2021 წლის მარტში, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან პაექრობით დაქანცული გენერალური პროკურორი მართლაც გადადგა, მაგრამ გადადგომის პირველივე დღიდან, კონსერვატიულმა ოპოზიციურმა პარტიამ იუნის თავის ბანაკში გადაბირება დაიწყო.

იუნი როგორც პოლიტიკოსი, თავის თავს არცერთ პარტიაში არ მოიაზრებდა. მას ქვეყნის პოლიტიკაში ჩართვა სურდა მხოლოდ როგორც არაპარტიულ დამოუკიდებელ ფიგურას, მაგრამ მალე მიხვდა, რომ პარტიის გარეშე პოლიტიკაში ვერაფერს მიაღწევდა. ამიტომ, როგორც კონსერვატიული მსოფლმხედველობის ადამიანმა, თავისი პოლიტიკური ბედი, სამხრეთ კორეის კონსერვატიულ პარტია „ხალხის ძალას“ დაუკავშირა, რომელმაც, მალევე, 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე იგი თავის კანდიდატად წამოაყენა. კორუფციის წინააღმდეგ სახელგანთქმულმა მებრძოლმა არჩევნები მოიგო და, 2022 წლის 10 მაისს, სამხრეთ კორეის მე-13 პრეზიდენტი გახდა.

არჩევიდან რამდენიმე დღეში იუნმა გადაწყვიტა რომ პრეზიდენტის რეზიდენცია თავისი დიდი პარკით დედაქალაქისთვის საჩუქრად გადაეცა. თვითონ კი, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ კორპუსში გადავიდა. იუნი სამხრეთ კორეის ისტორიაში მეოთხე კათოლიკე პრეზიდენტია. იუნ-სუკ-იოლი 2012 წლიდანაა ქორწინებაში. მისი მეუღლე დიდი კომპანიის მფლობელია, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სამხატვრო გამოფენებს აწყობს...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# ვინ ააფეთქა „ჩრდილოეთ ნაკადზე“ გაზსადენი?

**უკრაინის თავდაცვის მინისტრი ალექსეი რეზნიკოვი უარყოფს დასავლურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „ჩრდილოეთ ნაკადის“ წყალქვეშა გაზსადენზე აფეთქებების განხორციელება პროუკრაინულ დაჯგუფებებს შეეძლოთ.**

**„ეს ჩვენი საქმიანობა არ არის“,** – განაცხადა **რეზნიკოვმა.**



მედიის ცნობით, აფეთქებასთან პროუკრაინული ჯგუფების შესაძლო კავშირის შესახებ პირველად ინფორმაცია გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსმა“ გაავრცელა, თუმცა, არ დაუკონკრეტებიათ ამ ინფორმაციის მიღების დეტალები და არც ის, თუ რამდენად სანდოა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ინციდენტის შემდეგ პოლონეთმა და უკრაინამ იჩქარეს რუსეთის ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დადანაშაულება.

„ნიუ იორკ თაიმსის“ შემდეგ გერმანულმა გამოცემამ „დი ცაიტ“ გამოაქვეყნა მილსადენზე განხორციელებული აფეთქების საკუთარი ვერსია. გამოცემა წერს, რომ გამომძიებლებმა ჯერ კიდევ სექტემბერში აღმოაჩინეს იახტა, რომელიც პოლონური კომპანიის მიერ იყო არენდით აღებული და, სავარაუდოდ, გამოყენებულ იქნა დივერსიულ ოპერაციაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ეკიპაჟის ექვსი წევრი, მათ შორის მყვინთავები და ექიმი. გამოცემა წერს, რომ ამ ჯგუფმა ბალტიის ზღვის ფსკერზე განათავსა ასაფეთქებელი, რომლითაც მილსადენი დააზიანეს. იახტაზე აღმოჩენილია ასაფეთქებლის კვალი. მიუხედავად იმისა, რომ იახტის მოიჯარეებად უკრაინის მოქალაქეები ირიცხებოდნენ, დივერსიის დამკვეთი უცნობია. ექსპერტები იხრებიან ვერსიისკენ, რომ ეს შესაძლოა, ყოფილიყო ოპერაცია „ცრუ დროშის ქვეშ“, რათა ეჭვი უკრაინაზე მიეტანათ.

უკრაინის დივერსიასთან კავშირს უარყოფს უკრაინის პრეზიდენტის აპარატის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკიც , რომლის თქმითაც, უკრაინას მილსადენის ავარიასთან კავშირი არ აქვს და არ გააჩნია ინფორმაცია „პროუკრაინულ დივერსიულ ჯგუფებზე“.

„ნიუ იორკ თაიმსისა“ და „დი ცაიტის“ შემდეგ სტატია გამოაქვეყნა „ვაშინგტონ პოსტმაც“, რომელიც, თავის მხრივ, ანონიმურ წყაროებს ეყრდნობა და განსხვავებულ ნიუანსებს შეიცავს.

აშშ-სა და ევროპის სადაზვერვო სამსახურებს არ აღმოუჩენიათ არც უკრაინულ და არც რუსულ ოფიციალურ პირებს შორის კომუნიკაციისას ისეთი საეჭვო მინიშნებები, რაც მათ მომხდართან დააკავშირებდათ. მონაცემებს, რომლებიც დასავლურ სადაზვერვო სამსახურებს გააჩნიათ, „ვაშინგტონ პოსტის“ ანონიმური წყარო მოიხსენიებს „სიგნალებად“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი მოპოვებულია ელექტრონული კომუნიკაციისას და ისინი გამოვლენილია აფეთქების შემდეგ.

წყარო დასავლელი მაღალჩინოსანია, თუმცა არა ამერიკელი. ამასთან, დაზვერვას გააჩნია ისეთი მონაცემებიც, რომლებიც რუსეთის შესაძლო კავშირზეც მიუთითებს. კერძოდ, ინციდენტამდე რამდენიმე კვირით ადრე მიმდებარე ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ხომალდების აქტივობა დაადასტურეს. „ვაშინგტონ პოსტის“ წყარო ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ ამ დივერსიის შესახებ იცოდა უკრაინის პრეზიდენტის გარემოცვამ.

# ვიზიტის შედეგი

**ინგლისისა და საფრანგეთის ძირითადი შემადგენლობის ახალგაზრდული ნაკრებები უმცროს ბორჯღალოსნებთან (20 წ,) 4 თამაშს გამართავენ, რაც მსოფლიო ჩემპიონატის წინ ძალიან მნიშვნელოვანია. თამაშები მაისსა და ივნისში გაიმართება, საფრანგეთთან საფრანგეთში, ინგლისთან კი – საქართველოში.**

**იოსებ ტყემალაძე – საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:** „ძირითად ახალგაზრდულ ნაკრებებთან თამაშები პირველია, რაშიც განსაკუთრებული დახმარება ინგლისის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბილ სვინიმ გაგვიწია, მადლობა მას, – საფრანგეთთან და ინგლისთან ორ-ორი შეხვედრა გვექნება და ეს 4 თამაში ჩვენს ახალგაზრდა მორაგბეებს მსოფლიო ჩემპიონატის წინ მომზადებაში ძალიან დაეხმარება; ახალგაზრდული ნაკრების გაძლიერება რაგბის კავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამას ჩვენ დიდ ძალისხმევას ვახმართ. საფრანგეთიც და ინგლისიც სატესტო მატჩებისთვის ნაკრების სურვილით შეირჩა. საუკეთესო სტრატეგიის შესამუშავებლად ბრიტანეთში წამყვან საკონსალტინგო კომპანიებსაც შევხვდით“.

ქართული რაგბისთვის სასიხარულო ამბით საქართველოს რაგბის კავშირის დელეგაცია ინგლისიდან ამ დღეებში დაბრუნდა. ვიზიტი 6 ერის, მსოფლიო რაგბის, ევროპის პროფესიონალური საკლუბო რაგბისა (EPCR) და 6 ერის წევრ ფედერაციათა მიწვევით შედგა და ერთ კვირას გაგრძელდა.

**თორნიკე გოგებაშვილი – საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:** „თითოეულ მასპინძელთან საუბრის მთავარი თემა საქართველოს ეროვნული და 20-წლამდელთა ნაკრები გუნდების, ასევე 18-წლამდელთა ნაკრებისა და ქართული ფრანჩაიზის „შავი ლომის“ უმაღლესი დონის საერთაშორისო ასპარეზობებში




ჩართვა იყო, და, ყველა ამ თემაზე მასპინძელმა მხარემ თანხმობა და ხელშეწყობის სურვილი გამოთქვა. საფრანგეთისა და ინგლისის ძირითად ახალგაზრდულ ნაკრებებთან მატჩების ჩანიშვნა ამის დასტურია, გვაქვს სასიხარულო სიახლე 18-წლამდელთა და „შავი ლომის“ მიმართულებითაც, რასაც გულშემატკივარიც მალე შეიტყობს“.

**იოსებ ტყემალაძე:** „2023 მსოფლიო თასის და 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის წელია და მორაგბეთა უკეთ მოსამზადებლად უმაღლესი დონის გუნდებთან მათი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია. სასიხარულოა, რომ ყველა დონის სარაგბო სტრუქტურაში ასეთ პერსპექტივას ცალსახად მიესალმებიან. აშკარაა, რომ საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელმა ისტორიულმა გამარჯვებებმა და რაგბის კავშირის პროგრესულმა სისტემურმა რეფორმირებამ დღის წესრიგში ქართული რაგბის მსოფლიო როლის გადახედვა დააყენა“.

სარაგბო მოლაპარაკებებს გარდა, ქართული დელეგაცია ქალაქ რაგბიშიც მიიწვიეს, საიდანაც სპორტის ეს სახეობა იღებს სახელს. რაგბიში ქართულ დელეგაციას საქართველოს ელჩი **სოფიო ქაცარავაც** ახლდა, მასპინძლობა კი პარლამენტარმა მარკ ჰაუსმა გაუწია; დაათვალიერეს რაგბის სკოლა და ვებ ელისის რაგბის მუზეუმი, სადაც რაგბის ისტორიულ ექსპონატებს შორის ქართული ლელოს ბურთიც არის წარმოდგენილი და რაგბის მსგავსი უძველესი ქართული თამაშის შესახებ ინფორმაციაც; ვიზიტმა მოიცვა სტუმრობაც ლიდსის ცნობილ ბექეთ უნივერსიტეტსა და კარნეგის სპორტის სკოლაში, რომელიც ბრიტანეთში სპორტის სფეროში კვლევების წამყვანი ინსტიტუტია.

ქართულ დელეგაციას რაგბის კავშირის პრეზიდენტი, **იოსებ ტყემალაძე** და აღმასრულებელი დირექტორი, **თორნიკე გოგებაშვილი** ხელმძღვანელობდნენ, ხოლო შემადგენლობაში იყვნენ **ნიკა ალავიძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი, **რიჩი დიქსონი**, მაღალი მიღწევების კომიტეტის თავმჯდომარე, **ლევან ღვაბერიძე**, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი და **გია ნიჟარაძე**, საქართველოს წარმომადგენელი მსოფლიო რაგბიში.

## დირსეული



# ტენდენციის შესაბამისად

**სპორტის სათამაშო სახეობებიდან ფუტსალი ერთ-ერთი გამორჩეულია, რომელშიც სასახელო ტრადიციები გვაქვს და თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესის მიუხედავად, წლიდან წლამდე სტაბილურად ვაღწევთ წარმატებებს.**

მართალია, საამაყო შედეგები უმთავრესად ბრაზილიელ ლეგიონერთა სახელებს უკავშირდება, მაგრამ არანაკლებ მადლიერებას ეროვნული ნაკრების თავკაცი **ავთანდილ ასათიანიც** იმსახურებს, რომელმაც ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ჯვაროსანთა ფორმირებაში სული და გული ჩადო, რამაც მეტოქეთა შორისაც კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭა.

ჩვენი გუნდის პროგრესი ამ დღეებშიც დადასტურდა, როცა სტუმრად მსოფლიოს ჩემპიონატის მეინ-რაუნდის გადამწყვეტი შეხვედრა ბელგიას 7:4 მოვუგეთ, შესარჩევ ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი დავიკავეთ და ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. მომდევნო ეტაპის წილისყრა 5 ივლისს გაიმართება და გვწამს, ფავორიტებსაც კი ღირსეულად შევებმებით.

## ლეგიონერი

# 20 წუთი და კარგი მატჩი

**ქართველმა კალათბურთელმა, გოგა ბითაძემ NBA-ში „ორლანდო მეჯიქის“ მაისურით მორიგი შეხვედრა ჩაატარა, სოლიდური სათამაშო დროც მიიღო და თავიც კარგად წარმოაჩინა.**

ქართველმა ცენტრმა მოედანზე გატარებულ 20 წუთში 12 ქულა ჩააგდო, ფარიდან ასხლეტილი ბურთი კი 8-ჯერ მოხსნა, მათ შორის 5-ჯერ მეტოქის ფარზე. ბითაძემ 9-დან 6 ორქულიანი გამოიყენა, აქედან კი უმეტესობა ჩატენვები იყო. მის აქტივში 2 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა, ასევე რაც მთავარია, არცერთი დაკარგვა იყო. გოგა მეტოქეთა წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდა.



მატჩი მისმა „ორლანდო მეჯიქმა“ ლიგის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტთან, „მილუოკი ბაქსთან“ 123:134 წააგო. იანის ანტეტოკუნმპოს არყოფნაში ლიდერობა ბრუკ ლოპესმა, კრის მიდლტონმა და ჯევონ კარტერმა იტვირთეს, რომელთაც 26, 24 და 24 ქულები ჩააგდეს. ბითაძის თანაგუნდელებიდან საუკეთესო კოულ ენტონი იყო. მის ანგარიშზე 23 ქულაა. გუშინდელი მარცხის შემდგომ, ქართველი კალათბურთელის გუნდი 27 მოგებითა და 39 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილს იკავებს, როდესაც 47-18-ზე მაჩვენებლით, „მილუოკი ბაქსს“ ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს.

## აუზში

# ბოლო წამებზე დავმარცხდით

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა დაიწყო, რომელსაც მონტენეგრო მასპინძლობს.**

დეიან სტანოიევიჩის გუნდმა პირველი შეხვედრა სწორედ ბალკანელთა წინააღმდეგ ჩაატარა და დრამატულ ბრძოლაში 12:13 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრებმა უპირატესობა პირველივე პერიოდში მოიპოვა და 3:1 დაწინაურდა. ორბურთიან უპირატესობას ქართველი წყალბურთელები შესვენებამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ მესამე პერიოდის 0:3 წაგების შემდეგ მონტენეგრო დაწინაურდა.

შეხვედრა ძალიან ახლოს იყო ფრესთან, მაგრამ საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე მეტოქემ გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა და 13:12 მოიგო. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ასპარეზობს და მეორე ტურის მატჩს ავსტრალიასთან ჩაატარებს. ჯგუფში ასევე არიან სერბეთი, ესპანეთი და საბერძნეთი. ექვსი გუნდიდან საუკეთესო სამეული ასპარეზობას პლეი-ოფში გააგრძელებს.

## ხელბურთი

# მოგებით დავიწყეთ

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პირველი შეხვედრა ჩაატარა და გამარჯვება მოიპოვა.**

ჯვაროსნებმა ლიეტუვის გუნდი დამაჯერებლად, 32:18 დაამარცხეს. ჩვენი ნაკრების რიგებში საუკეთესო გიორგი ცხოვრებაძე იყო, რომელმაც 11 ბურთი გაიტანა. 7 გოლი ნიკოლოზ კალანდაძის აქტივშია, 4-გიორგი დიხამინჯიას, ხოლო 3-3 ბურთი ირაკლი კბილაშვილმა და ერეკლე არსენიშვილმა მიითვალეს.

## ჩემპიონთა ლიგა

# მარტის ამინდივით ჭრელა-ჭრულა

**კი ამბობენ, სტაბილურობა კლასის ნიშანიაო, მაგრამ იმ ტურნირების რანგიც გასათვალისწინებელია, რომელშიც თამაშობ.**

ასე მაგალითად, ლონდონის ჩელსის პრემიერლიგის მთელ სეზონში ისეთი ციებ-ცხელება სტანჯავს, რომ შეუფერებელ მეათე ადგილს იკავებს და სულ უფრო ხშირად ისმის ხმები მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გრემ პოტერის სავარაუდო დათხოვნის თაობაზე.

ჰოდა, აი, ასეთ ვითარებაში არისტოკრატებმა აიღეს და, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემპიონთა ლიგის ორრაუნდიან დუელში ბუნდესლიგის თანალიდერი დორტმუნდის ბორუსია დააჩოქეს, რომელიც 2023 წელს გამართული ათივე ბრძოლის მოგებით იწონებდა თავს – 0:1, 2:0.

აღსანიშნავია, რომ საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაში სტემფორდ ბრიჯზე გატანილ ორივე გოლში უშუალო მონაწილეობა კარგახნის განმავლობაში ათვალწუნებულმა მარცხენა მცველმა ჩიუელმა მიიღო, ანგარიში კი სულაც იმ სტერლინგმა გახსნა, ვინც ახალ კლუბთან სრულფასოვანი ადაპტაცია აქამდე ვერაფრით მოახერხა.

რაც შეეხება ბენფიკა-ბრიუგეს წყვილს, ძნელი სავარაუდო იყო, რომ არწივები ცალი ფეხით გამოუყვანდნენ წირვას, იმ ბელგიურ გრანდს, რომელიც, მართალია მიმდინარე შინაურ ბატალიებში არ ბრწყინავდა,



მაგრამ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის შარშანდელი ციკლი ოთხი ხმაურიანი გამარჯვებით დაიწყო და ჯგუფში თვით მადრიდის ატლეტიკო ჩატოვა – 2:0, 5:1.

ტიტულებით დახუნძლულ მილანს, რომელიც უშუალოდ ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირების ტრიუმფატორობით მხოლოდ მადრიდის რეალს ჩამორჩება, მთელი 11 წელიწადი დასჭირდა, კიდევ ერთხელ რომ გასულიყო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. მისი საპასუხო პლეი-ოფი ტოტენჰემთან ლონდონური საავტომობილო საცობების გამო მცირეოდენი დაგვიანებით დაიწყო და, ეტყობა, ამ ფაქტორმაც განაპირობა უღიმღამო ძიძგილაობა – 0:0 და ლომბარდიურ გრანდს წინსვლისთვის პირველ მატჩში მოპოვებული მინიმალური უპირატესობა ეყო – 1:0.

დაბოლოს – აღნიშნული ეტაპის მთავარი ჯახი: ბაიერნი – პსჟ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მესიც და მბაპეც რიგითი მოკვდავნი არიან და არც მათი შესაძლებლობებია უსაზღვრო, მით უმეტეს – ბავარიულ მექანიზმთან უთანასწორო ბრძოლაში, თანაც – ტრავმირებული ნეიმარის არყოფნაში – 1:0, 2:0.

ფრანგული ვარსკვლავთკრებულის მორიგი საერთაშორისო კრახის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური ხდება მესის მომავალი ნავთსაყუდელის საკითხი, რადგან, მოგეხსენებათ, ზაფხულში უნდა გადაწყდეს, დარჩება პარიზში, საუდის არაბეთსა თუ ამერიკის ლიგაში მოაწყობს ცირკს, ან ბარსელონაში დაბრუნდება. ცოტაც და ყველაფერი გაირკვევა.

**საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის**

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე ბარუსი აბრამიშვილის (პ/ნ 38001012719) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე (ს/კ 35.04.47.315), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1050 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილი - 393 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის 1-1/59 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის ბარუსი აბრამიშვილის (პ/ნ 38001012719) საკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე (ს/კ 35.04.47.315), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1050 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 393 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

**საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის**

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ალექსანდრე აბრამიშვილის (პ/ნ 38001023444), გივი აბრამიშვილის (პ/ნ 38001008543), დავით აბრამიშვილის (პ/ნ 38001041662) და მარინა აბრამიშვილის (პ/ნ 38001028463) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილი - 374კვ. მეტრი (ს/კ 35.04.50.188) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ღობე) (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის 1-1/59 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ალექსანდრე აბრამიშვილის (პ/ნ 38001023444), გივი აბრამიშვილის (პ/ნ 38001008543), დავით აბრამიშვილის (პ/ნ 38001041662) და მარინა აბრამიშვილის (პ/ნ 38001028463) თანასაკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1000 კვ. მეტრი ფართობის, მთლიანი მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 374კვ. მეტრზე (ს/კ 35.04.50.188) და მასზე განთავსებულ შენობანაგებობაზე (ღობე).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

**საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის**

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ზაქრო გლოველის (პ/ნ 38001020040), დავითი გლოველის (პ/ნ 38001009884) და თინათინ გლოველის (პ/ნ 38001025977) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 35.04.47.181) ფართობით 1200 კვ. მეტრის ნაწილი - 614კვ. მეტრი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის 1-1/59 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ზაქრო გლოველის (პ/ნ 38001020040), დავითი გლოველის (პ/ნ 38001009884) და თინათინ გლოველის (პ/ნ 38001025977) თანასაკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 35.04.47.181) ფართობით 1200 კვ. მეტრის ნაწილზე - 614კვ. მეტრზე, მასზე არსებული შენობა-ნაგებობაზე (ღობე) და მრავალწლიან ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

**საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის**

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საჩხერე-ქვემო ხევის საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 5+537 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების ბარუსი აბრამიშვილის (პ/ნ 38001012719), არსენი აბრამიშვილის (პ/ნ 38001003315) და აზა აბრამიშვილის (პ/ნ 38001031177) (შემდგომში - თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე (ს/კ 35.04.47.250), სასოფლოსამეურნეო დანიშნულების, 1 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილი - 1 074 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულები იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 20 თებერვლის 1-1/59 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ბარუსი აბრამიშვილის (პ/ნ 38001012719), არსენი აბრამიშვილის (პ/ნ 38001003315) და აზა აბრამიშვილის (პ/ნ 38001031177) თანასაკუთრებაში არსებულ, საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ სარეკში მდებარე (ს/კ 35.04.47.250), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 1 074 კვ. მეტრზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.




## მსოფლიოში ქალთა უფლებები მნიშვნელოვნად გაუარესდა

**„მსოფლიოში გოგოების და ქალების უფლებები მნიშვნელოვნად გაუარესდა“,** – ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა ქალთა უფლებების კომისიის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, პროგრესის ნიშნები, რისი მიღწევაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში გახდა შესაძლებელი, ახლა წამებში ქრება.

**„ასეთი ტემპებით გენდერული თანასწორობის მიღწევა მხოლოდ 300 წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი“,** – განაცხადა გუტერეშმა.

გუტერეშმა მაგალითად მოიყვანა ქალთა სიკვდილიანობის ზრდა, გოგოებისთვის სწავლის უფლების წართმევა, პატარა გოგოების გათხოვება და ა.შ. მისი თქმით, ყველაზე არახელსაყრელი სიტუაცია ამ მხრივ ავღანეთში შეიქმნა. გაეროს გენმდივნის თქმით, მსოფლიოში არსებული კონფლიქტები პირველ რიგში გოგოებზე და ქალებზე აისახება. მან, ასევე, მილიონობით ქალი ახსენა, რომლებმაც პანდემიის დროს სამსახური დაკარგეს.




## ყიდიან კოკაინსა და ჰეროინს... სამკურნალო მიზნებით

**კანადაში მდებარე ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში დაფუძნებულმა ორმა კომპანიამ, სამეცნიერო და სამკურნალო მიზნებისთვის, კოკაინის, ჰეროინისა და MDMA-ის ლეგალურად წარმოებისა და გაყიდვის ფედერალური ნებართვა მიიღო.**

Health Canada-მ, ფედერალურმა სააგენტომ, რომელიც მედიკამენტების პროგრამებს აკონტროლებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებართვა დასახელებული პროდუქტების ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობისთვის არ გაცემულა. ნებართვა ორმა კომპანიამ, Sunshine Earth Labs-მა და Adastra-მ მიიღო. პირველი მათგანი ფსიქოდელიური საშუალებების მწარმოებელია, მეორე კი – კანაფის შემცველი პროდუქტების. აღნიშნულ ნაბიჯს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ნაწილში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათი განცხადებით, დამოკიდებულების გაჩენის საშიშროების გარდა, ახლად დამტკიცებული პროდუქტები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რისკებსაც შეიცავს.

## რამზან კადიროვს ცხენი მოპარეს

**ჩეხეთის დასახლება კრაბშიცეში ბოროტმოქმედებმა საცხენოსნოდან 16 წლის ინგლისური ჯიშის ცხენი მოიპარეს. ცხენის სახელია ზაზუ და მისი მფლობელი ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვია. ცხენის ფასი 19 ათასი დოლარია. პოლიცია გამოძიებას ატარებს. ცხენი, ისევე, როგორც კადიროვის სხვა ქონება, სანქციების გამო დაყადაღებული იყო.**

კადიროვმა ზაზუ 2012 წელს გერმანიაში შეიძინა. ამის მიზანი დუბაის თასში მონაწილეობა იყო, რომლის საპრიზო ფონდი 30,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ცხენმა 36 ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მისმა მოგებამ, 1,2 მლნ ევრო შეადგინა. რამზან კადიროვის წინააღმდეგ სანქციები ჯერ კიდევ 2014 წელს დაწესდა. მან რამდენჯერმე სცადა სანქციების გაუქმება, თუმცა უშედეგოდ.



## ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2022 წლის ანგარიში

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლის 3 ივლისს იუსტიციის სამინისტროში.

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ღონისძიება განახორციელა. 2022 წელს ფონდმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე პანაშვიდი გადაუხადა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ ბიჭებს ფონდის მიერ გაშენებელ ხეივანში და გვირგვინით შეამკო მათი ხსოვნის ქვა. ფონდმა ახალი წელი მიულოცა მარჩენალდაკარგულ ოჯახებს და გაახარა ობოლი ბავშვების გულები.

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის დირექტორი

**ლია პაპიაშვილი**

## განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.
ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge
ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge
ტელ.: 2 75 25 20



## ლუკაშენკომ ზელენსკის „წილი“ უწოდა

**„ზელენსკი უბრალო წილია“ („ბინდა“),** – ამის შესახებ ბელარუსის ლიდერმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა.

**„მე ადრე მეგონა, რომ ზელენსკის მშვიდობა სურს და საკუთარ ხალხზე ზრუნავს. ის კი ნამდვილი წილია. ის ოპერაცია, რაც ბელარუსის ტერიტორიაზე ჩატარდა, ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე არ ტარდება“,** – განაცხადა ლუკაშენკომ.

ცნობისთვის, 26 თებერვალს ბელარუსში მიჩულიშის სამხედრო აეროდრომზე დრონების შეტევის შედეგად რუსული რადიოდაზვერვის თვითმფრინავი იყო დაზიანებული. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეტევა ბელარუსმა პარტიზანებმა განახორციელეს. თვითმფრინავმა სერიოზული დაზიანება მიიღო და იძულებული იყო, რემონტზე ტაგანროგში გაფრენილიყო. ლუკაშენკოს თქმით, ეს ოპერაცია უკრაინის უშიშროების სამსახურმა და აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ დაგეგმეს.

## უკრაინაში 11 მილიონი ლტოლვილი დაბრუნდა




**2022 წელს ევროკავშირში 16 მილიონი უკრაინელი ჩავიდა, აქედან 11 მილიონი მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა, 1 მილიონი ადამიანი სხვა ქვეყნებში წავიდა და დაახლოებით 4 მილიონი ლტოლვილი ევროკავშირის ტერიტორიაზე დარჩა,** – ამის შესახებ ევროკომისარმა ილვა იოჰანსონმა განაცხადა.

მისი თქმით, უკრაინელების სამშობლოში დაბრუნება არ არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ მათ ყოფნას ევროკავშირის ტერიტორიაზე არ მიესალმებიან, არამედ, პირველ რიგში, ეს გამოწვეულია მათი სურვილით, იყვნენ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ წინააღმდეგობის ნაწილი და გააგრძელონ მუშაობა უკრაინაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 13 მარტს**

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6009; ევრო - 2.7680;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1234;
100 რუბლი - 3.4492; თურქული ლირა - 0.1376;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5324;
1000 სომხური დრამი - 6.6897

ამინდი 10 მარტისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე +16 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +19 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge